საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 25 იანვარი. 2018 წ. №15 (8416), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

S O S! ტელეეკრანი აივსო მატყუარა ნარკომანებით! „ბახალა“, ამდენი ნარკოტიკი რად გინდოდა, არტისტო?!

11

რატომ სცემეს თბილისის პროკურორის მოადგილეს?

წყნეთის ქუჩაზე ნაცემი პიროვნება თბილისის პროკურორის მოადგილე გიორგი გაბოძეა! პროკურატურის თანამშრომლის ცემის საკითხზე მთავარმა პროკურატურამ გუშინ განცხადება გაავრცელა. უწყების ცნობით, პროკურატურის თანამშრომელს მოქალაქემ, რომელიც ტაქსით გადაადგილდებოდა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

მათივე განმარტებით, პროკურატურის თანამშრომლის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყეს.

„საქართველოს პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში დაიწყო გამოძიება პროკურატურის თანამშრომლის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო პროკურატურის თანამშრომლის შეტყობინება, რომ 23 იანვარს, ღამის საათებში, თბილისში, წყნეთის ქუჩის მიმდებარედ მოქალაქემ, რომელიც გადაადგილდებოდა ტაქსით, გზის ვიწრო მონაკვეთზე უპირატესი გავლის მოთხოვნით სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კუთვნილი ავტომანქანით მოძრავ პროკურატურის თანამშრომელს, რის შემდეგაც საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოჩენის შემდეგ ადგილიდან მიიმალა. საქმეზე ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

მომხდარი არ უკავშირდება პროკურატურის თანამშრომლის პროფესიულ საქმიანობას, ამასთანავე, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს ადგილი ჰქონდა ოჯახურ კონფლიქტს“, — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

* * *

პირი, რომელმაც თბილისის პროკურორის მოადგილე გიორგი გაბოძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, მის დაკითხვას ითხოვს. შესაბამისი განცხადება თენგიზ გავაშელმა მთავარ პროკურატურაში გუშინვე შეიტანა.

გავაშელი მიმალვის ფაქტს უარყოფს და აცხადებს, რომ მზადაა, გამოძიებას ჩვენება მისცეს.

ამასთან, როგორც გავაშელის ადვოკატმა თამარ აბესაძემ განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის დღემდე უცნობი იყო, რომ პირი, ვისთანაც მას კონფლიქტი მოუვიდა, პროკურატურის თანამშრომელი იყო.

კაპიტანი რაინდული სულით...

10

მუნდიალი „სისხლს“ მოითხოვს

მკვლელობა ფეხბურთის სახელით

რა სტკივა საქართველოს ეკლესიას?!

4

დედაქალაქის საცოცხლეებისგან განტვირთვა და ტრანსპორტის მოწესრიგება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია!

2

STRATEGIC OUTLOOK:

პრემიერ-მინისტრის გამოსვლა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე

კითხვა: — ბატონო პრემიერ-მინისტრო, უკვე 10 წელი გავიდა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. გვითხარით, როგორი ურთიერთობა გაქვთ დღეს მოსკოვთან და როგორ აბალანსებთ ამ ურთიერთობებს საქართველოს სურვილთან — მოახდინოს უფრო ღრმა ინტეგრაცია დასავლეთთან?

გიორგი კვირიკაშვილი — გმადლობთ. სამწუხაროდ, ჩვენ წინაშე დგას 2008 წლის მემკვიდრეობა. ჩვენ დღესაც გვიწევს იმ პრობლემების მოგვარება, რომლებიც საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო არა მხოლოდ 2008 წლიდან, არამედ 1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული. ჩვენი ორი ისტორიული ტერიტორიის ოკუპაცია წარმოადგენს დიდ პრობლემას, რომელთანაც გამკლავება ჩვენ გვიწევს კონსტრუქციული, მაგრამ, ამავე დროს, პრინციპული მიდგომის მეშვეობით, ანუ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის თანმიმდევრული პოლიტიკის გათვალისწინებით. ეს პოლიტიკა ეფუძნება გარკვეულ ღირებულებებს. ჩვენ დღესაც უნდა ვეძებოთ შეხების სფეროები, წერტილები რუსეთთან, რომლებიც

მომავალში შეიძლება, გახდეს ამოსავალი წერტილი პოზიტიური დისკუსიების დასაწყებად კონფლიქტის პოლიტიკური გზით გადაჭრის შესახებ.

კითხვა: — მაგალითებს ხომ ვერ მოიყვანდით?

— ეს სფეროები შეიძლება, იყოს ვაჭრობა, ტურიზმი და, რასაკვირველია, ჰუმანიტარული და კულტურული ურთიერთობები. დღეს რუსეთის ბაზარი ღიაა საქართველოსთვის, თუმცა იგი არ არის ერთადერთი ან, თუნდაც, დომინანტი ბაზარი, რადგანაც ჩვენი ექსპორტი დივერსიფიცირებულია. ამასთან, ძალიან დადებითი მოვლენაა, რომ ყოველწლიურად ჩვენ ვმასპინძლობთ დაახლოებით ერთ მილიონ ტურისტს რუსეთიდან. ჩვენ ცალმხრივად დავაწესეთ უვიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისთვის და არ ყოფილა არც ერთი კონფლიქტი ეთნიკურ ნიადაგზე რუს ტურისტებთან. ყოველივე ეს შეიძლება, იყოს ძალიან კარგი ამოსავალი წერტილი, რათა წამოვიწყოთ პოლიტიკური დისკუსიები კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებით.

იხ. 2-3 გვ.

დედაქალაქის საცობებისგან განტვირთვა და ტრანსპორტის მოწესრიგება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია!

დედაქალაქის მერია საცობებისგან ქალაქის განტვირთვისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგების კუთხით, რამდენიმეეტაპიანი სამუშაოების განხორციელებას გეგმავს, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, ქალაქის საცობებისგან განტვირთვა, გამონაბოლქვის შემცირება, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე ორიენტირებული სატრანსპორტო სისტემის შექმნა დედაქალაქის მოსახლეობის პირდაპირი დაკვეთაა.

„არსებული პრობლემების გადასაჭრელად, რამდენიმეეტაპიანი სამუშაოების განხორციელებას ვგეგმავთ, რომელიც, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება-რეაბილიტაციისკენ, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისკენ არის მიმართული, ხოლო, მეორე მხრივ, განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული შეზღუდვების შემოღებისკენ. ვგეგმავთ, როგორც მეტროს რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებას, იმისთვის, რომ გადაადგილების დრო შევამციროთ, ასევე, გავზარდოთ მგზავრთა რაოდენობა. ჩვენ ასევე, ვაპირებთ ავტობუსების პარკის განახლებას. გვინდა, რომ არსებული ყვითელი ავტობუსები ახალი, ევროპული, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსებით ჩავანაცვლოთ. ვგეგმავთ, ავტობუსების სპეციალური ზოლების — ე.წ. ბასლაინების მოწყობასაც“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, სატრანსპორტო სისტემის განვითარებისთვის დასუფთავების მანქანები სპეციალური გრაფიკით იმოძრავებენ, მოხდება მიკროავტობუსების გაჩერების წესის რეგულაცია და სადისტრიბუციო და სამშენებლო ტრანსპორტზე სპეციალური რეჟიმების განსაზღვრა.

თბილისში ტრანზიტული მოძრაობის წესის დარღვევის გამო, შესაძლოა, ჯარიმა 500 ლარამდე გაიზარდოს!

ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე **განაცხადა**. მისი თქმით, თბილისში, ისევე, როგორც ყველა დიდ ქალაქში, ტრანზიტული მოძრაობა აკრძალულია, თუმცა მცირე ჯარიმის გამო, მძღოლები აღნიშნულ წესს არღვევენ.

„თუ არ ვცდები, დღეს ჯარიმა არის 20 ლარი. დარღვევების აღსაკვეთად, ვფიქრობთ, რომ ჯარიმა 500 ლარამდე უნდა გაიზარდოს. ეს უკვე გათვალისწინებულია ჩვენ მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში, რომელიც პარლამენტს წარედგინება. ცხადია, ყველა ის ღონისძიება, რაზეც ვსაუბრობ, ფინანსთა სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, პარლამენტთან და რაც მთავარია, კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობითა და ურთიერთობით ხორციელდება“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის განცხადებით, სატრანსპორტო სისტემის განვითარებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე ტაქსების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და გარკვეული სტანდარტების ეტაპობრივად დამკვიდრებაა. კახა კალაძის განცხადებით, ჩამოთვლილი ღონისძიებები იმ კომპლექსური პროგრამის მხოლოდ ნაწილია, რომლის განხორციელებასაც დედაქალაქის მერია სატრანსპორტო სისტემის მიმართულებით გეგმავს.

თამარ ჩუგოშვილი და ნინო გოგუაძე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ უკრაინაში ომის ჰუმანიტარულ შედეგებსა და ამ საკითხზე, მომხსენებელ ეგიდიუს ვარეიკისის მიერ მომზადებულ რეზოლუციაზე იმსჯელა. **საკითხის შესახებ ასამბლეის სხდომაზე სიტყვით საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი თამარ ჩუგოშვილი და დელეგაციის წევრი ნინო გოგუაძე გამოვიდნენ.**

თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, რეზოლუცია, პირადად მისგან არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ პერსონალურ მხარდაჭერასაც იმსახურებს.

„მე წარმოვადგენ ქვეყანას, რომელმაც ომის შედეგები საკუთარ თავზე გამოცადა და მოწმეა უახლეს წარსულში ჰუმანიტარული კრიზისის, მაშასადამე, ჩემი მხრიდან, ეს რეზოლუცია იმსახურებს არა მხოლოდ პოლიტიკურ მხარდაჭერას, არამედ როგორც რუსული აგრესიის კიდევ ერთი მსხვერპლის პერსონალურ მხარდაჭერასაც“, — განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა. მისი თქმით, უკრაინაში ომთან დაკავშირებით მომზადებული სხვა რეზოლუციების იმპლემენტაციის მხრივ აღსანიშნავი პროგრესი არ განხორციელებულა, რაც, თამარ ჩუგოშვილის თქმით, ასამბლეისთვის შეშფოთების საფუძველი უნდა იყოს.

„შემოთავაზებული რეზოლუცია კიდევ ერთხელ მოუწოდებს რუსეთს, შეწყვიტოს სამხედრო აგრესია უკრაინის წინააღმდეგ და აღადგინოს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა, შეუწყვიტოს ყველანაირი ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერა უკანონო შეიარაღებულ ჯგუფებს დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში და უზრუნველყოს ანექსირებულ ყირიმში მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა და უსაფრთხოება. ეს მოთხოვნები ლეგიტიმურია. მთავარი შეკითხვა ისაა, რას გააკეთებს ასამბლეა, თუ მისი რეზოლუციები მომავალშიც იგნორირებული იქნება“, — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

(პირველი გვერდიდან) მეორე მხრივ, რუსეთმაც უნდა გაითვალისწინოს, რომ ფუჭია იმის მოლოდინი, რომ საქართველოს მთავრობა შეეგუება „არსებულ რეალობას“, როგორც ისინი ამას უწოდებენ, ანუ ჩვენს საკუთარ ტერიტორიაზე ე.წ. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობას. ასე რომ, ჩვენი დისკუსიები უნდა დაეფუძნოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას, რაც უნდა იყოს კიდეც ჩვენს რეგიონში ნებისმიერი დისკუსიის ქვაკუთხედი ისევე, როგორც საქართველოს სუვერენული მისწრაფებები.

თქვენ მკითხეთ საქართველოს პოლიტიკაზე რეგიონის წინაშე მდგარ გამოწვევებთან ბრძოლაში. გიპასუხებთ, რომ, როგორც პრეზიდენტმა ალიევმა აღნიშნა, მეგობრული ურთიერთობები მეზობლებთან, რასაკვირველია, ძალიან მნიშვნელოვანია. აზერბაიჯანთან, თურქეთთან, ყაზახეთთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი რეგიონული პროექტები. ჩვენ გვაქვს სტრატეგიული ურთიერთობები აზერბაიჯანსა და თურქეთთან; ტრადიციულად კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობები სომხეთთან. ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი ურთიერთობები ცენტრალური აზიის ქვეყნებთან. „აბრეშუმის გზის“ და სხვა ახალმა პროექტებმა ახალი დინამიკა შემოიტანა ჩვენს რეგიონში. რასაკვირველია, შეუძლებელია ყოველივე ამის მიღწევა რეგიონში მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე, რაც შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი წინაპირობა მდგრადი მშვიდობისთვის. რას ნიშნავს სტაბილურობა საქართველოსთვის?! სტაბილურობა საქართველოსთვის ნიშნავს ქვეყნის პოზიციონირებას იქ, სადაც ჩვენ ვართ — აქ საუბარია ღირებულებებზე. საქართველოსთვის კი, ჩვენ დავისახეთ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, როგორც სტრატეგიული პრიორიტეტი, და ნელ-ნელა ჩვენ ვახორციელებთ ჩვენი ქვეყნის ტრანსფორმაციას ჭეშმარიტად ევროპულ, დემოკრატიულ ქვეყნად; ქვეყნად, რომელიც უნიკალურია თავისი ღიაობის თვალსაზრისით. ვგულისხმობ ვაჭრობას, თავისუფალ ვაჭრობას როგორც ევროკავშირთან, ისე — ჩინეთთან, ასევე, მეზობელ ქვეყნებთან, რუსეთის ჩათვლით. რასაკვირველია, ასევე საუბარია შიდა სტრუქტურულ რეფორმებზე, საფუძვლიან რეფორმებზე, რომლებიც აქცევს საქართველოს ნამდვილად დემოკრატიულ სახელმწიფოდ.

ეს არის ჩვენი მე-ნ მუხლი. ჩვენ არ გვაქვს ნატოს მფარველობა, მაგრამ გვაქვს პარტნიორობა დასავლეთთან და კეთილმეგობრული ურთიერთობები, ასევე საერთო ინტერესების წერტილების მუდმივი ძიება, წარმოადგენს ჩვენს რეგიონში სტაბილურობის ფორმულას.

კითხვა — ყველასთვის ცნობილია, რა მოხდა უკრაინაში, როცა მისი მოლაპარაკებები ევროპასთან ოდნავ უფრო სწრაფად წარიმართა, ვიდრე ეს რუსეთს მოეწონებოდა. დარწმუნებული ვარ, თქვენ ამაზეც ფიქრობთ, როცა აწარმოებთ მოლაპარაკებებს ბრიუსელთან და თქვენს ევროპელ პარტნიორებთან. როგორ არეგულირებთ ამ საფრთხეს?

— საფრთხეები ყველგან არის, მაგრამ ჩვენ გვაქვს ძალიან პოზიტიური დინამიკა ევროკავშირთან, ევროპულ სტანდარტებთან ჩვენი ქვეყნის დემოკრატიის დაახლოების კუთხით. სამწუხაროდ, უკრაინა დადგა რუსეთის გამოწვევის წინაშე და მისი ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას. როგორც უკვე ვახსენე, ტერიტორიული მთლიანობა უნდა იყოს რეგიონულ კონფლიქტებთან დაკავშირებული დისკუსიების ქვაკუთხედი. ეს არის პრინციპი, რომლის ეჭვქვეშ დაყენება დაუშვებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ დავდგებით დიდი პრობლემების წინაშე არა მხოლოდ რეგიონის, არამედ გლობალური მასშტაბით.

კითხვა — ეს საშური მისწრაფებაა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ უკრაინას თითქმის უკვე ხელი უნდა მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებაზე, რუსეთმაც გადაწყვიტა, რომ შესულიყო (უკრაინაში). იმ დროს, როცა თქვენ ცდილობთ უფრო დაუახლოვდეთ დასავლეთს, არის თუ არა ისეთი რამ, რის გაკეთებაც თავიდან აგაცილებთ რუსეთის ზედმეტად გაღიზიანებას?

— აქ საუბარია ყოველდღიურ პრობლემებზე საქართველოში: ჩვენ ვდგავართ რუსეთის მხრიდან საფრთხეების წინაშე. იგივე შეიძლება ითქვას უკრაინაზეც — მართალია, ერთი შეხედვით, სიტუაცია შეიძლება განსხვავებული ჩანდეს, მაგრამ ფორმულა იგივეა. ჩვენ ვცდილობთ, დავანახოთ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს — რუსეთს, რომ საქართველოს პოლიტიკა, დასავლური საზოგადოების წევრობასთან დაკავშირებით, არ არის ვინმეს წინააღმდეგ მიმართული. ის არ არის მიმართული ჩვენი მეზობლების წინააღმდეგ, რუსეთის ჩათვლით. რუსეთი ბუნებრივად უნდა იყოს დაინტერესებული სამხრეთით სტაბილური მეზობლის ყოლაში. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ვეძებოთ პოზიტიური პლატფორმები, სადაც შევძლებთ საერთო ინტერესების გამონახვას, სადაც ჩვენ შევძლებთ პოზიტიური დისკუსიების წამოწყებას ჩვენ შორის არსებული მემკვიდრეობით მიღებული პრობლემების პოლიტიკური გზით მოგვარების შესახებ.

კითხვა — განუმარტავს თუ არა მკაფიოდ რუსეთს ოდესმე თავისი ე.წ. წითელი ხაზები?

— პერიოდულად ჩვენ ვისმენთ განცხადებებს ნატოსთან დაკავშირებით საქართველოს მისწრაფებების შესახებ, მაგრამ ეს არის ქართველი ხალხის სუვერენული გადაწყვეტილება. გარდა ამისა, ვიმეორებ, რომ იგი არ არის მიმართული რეგიონში ვინმეს წინააღმდეგ.

კითხვა — ბატონო პრემიერ-მინისტრო, ცხადია, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ მიაღწევს წარმატებას განვითარების თვალსაზრისით, თუკი არ არის მოგვარებული კორუფციის საკითხი. ბოლო წლებში თავისი ძალისხმევის წყალობით, საქართველო იქცა რეგიონის ვარსკვლავად. ორიოდე სიტყვით თქვენი წარმატების მიზეზების შესახებ. ასევე, რა გაკვეთილი შეიძლება გამოიტანონ ჯერ კიდევ მყარად გამჯდარი კორუფციის მქონე ქვეყნებმა საქართველოს მაგალითზე?

— გმადლობთ. პირველ რიგში, კორუფციას ვერ განვიხილავთ, როგორ ცალკე მდგარ გამოწვევას სხვა გამოწვევათა რიგში. აქ საუბარია რეფორმების სრულ კომპლექსზე, რომელიც საქართველოს მთავრობამ განახორციელა. ვგულისხმობ ეკონომიკის ღიაობას, სავაჭრო ბარიერების გაუქმებას (არა მხოლოდ სატარიფო, არამედ არასატარიფო ბარიერებს), საზღვრის გადაკვეთის პროცედურების მუდმივ გაუმჯობესებას და საფუძვლიან შიდა რეფორმებს.

შარშან საქართველო გახდა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ თავმჯდომარე ქვეყანა. თავმჯდომარეობა ჩვენ საფრანგეთისგან გადავიბარეთ. ჩვენ ვახორციელებთ საფუძვლიან რეფორმებს.

ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ინვესტორთა საბჭო, რომელშიც შედიან ბიზნესსაზოგადოების ძირითადი წარმომადგენლები, ბიზნესასოციაციების ლიდერები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების

STRATEGIC

პრემიერ-მინისტრის გამოსვლა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე

OUTLOOK:

წარმომადგენლები და რამდენიმე მინისტრი. ჩვენ ვმართავთ კვარტალურ სხდომებს, რათა განვიხილოთ ყველა მომავალი ცვლილება რეგულაციებსა და კანონმდებლობაში, რათა თავიდან ავიცილოთ რაიმე ნეგატიური მოულოდნელობა ბიზნესსაზოგადოებაში. ყველაფერი გამჭვირვალეა.

ციფრული ეკონომიკა: ჩვენ ვახორციელებთ ერთიანი ფრონტ ოფისის პროექტს — ეს არის „ბიზნესსახლი", რომელიც მოიცავს როგორც ციფრულ, ისე ფიზიკურ სივრცეს. სახელისუფლებო უწყებებს ჩამოვაშორებთ არსებულ ფრონტ ოფისებს, რათა თავი მოვუყაროთ მათ ერთ კონკრეტულ სივრცეში, საქართველოს დედაქალაქში და რეგიონულ ცენტრებში. ამის პარალელურად, ჩვენ ვქმნით ერთიან ციფრულ ფრონტ ოფისს, რომელიც მომსახურებას გაუწევს არა მხოლოდ კერძო პირებს (რაც უკვე ფუნქციონირებს საქართველოში), არამედ — იურიდიულ პირებსაც.

ყოველივე ეს გულისხმობს გამჭვირვალობის დონის შემდგომ ზრდას, კორუფციის ალბათობის შემდგომ შემცირებას, რადგანაც ყველა სახის მომსახურება თავმოყრილი იქნება ერთ ფიზიკურ და ციფრულ სივრცეში.

ფისკალური პოლიტიკა: 2017 წელს საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ მიაღწია თითქმის 5%-ს. ჩვენი ტურიზმი გაიზარდა 28%-ით. ჩვენი ექსპორტი გაიზარდა 29%-ით, ხოლო ჩვენი მიმდინარე დეფიციტი შემცირდა 12%-დან 7%-მდე. ჩვენი ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა 4.9%-დან 3%-მდე. ასე რომ, ყველა მონაცემის თანახმად, ჩვენ გვაქვს ძალიან პოზიტიური მაკროეკონომიკური გარემო.

რასაკვირველია, ყოველივე ეს ასახულია საერთაშორისო რეიტინგებში. ნება მომეცით, გაგაცნოთ რამდენიმე მაგალითი.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2017-2018 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მაკროეკონომიკური გარემოს კატეგორიაში საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა 89 ადგილით და ქვეყანამ 137-ე ადგილიდან გადაინაცვლა 48-ე ადგილზე.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის თანახმად, ბაზარზე დომინანტის მოცულობის კატეგორიაში, 2012 წელთან შედარებით, დაფიქსირდა გაუმჯობესება 45 ადგილით და ქვეყანამ 112-ე ადგილიდან 67-ზე გადაინაცვლა.

ჩვენ ვართ რეგიონში ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა. რატომ?! იმიტომ, რომ ჩვენ განვახორციელეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ინდუსტრიის დემონოპოლიზაცია.

კერძო საკუთრების დაცვის კატეგორიაში, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნესგარემოსთვის, 2012 წელს, სულ რაღაც ხუთი წლის წინათ, ჩვენ ვიყავით 120-ე ადგილზე. დღეს კი საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა 74 ადგილით, ანუ ვართ 46-ე ადგილზე, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეიტინგის თანახმად.

მსოფლიო ბანკის თანახმად, საქართველო მე-9 ადგილზეა მსოფლიოში ბიზნესის წარმოების სიმარტივის კუთხით. საერთაშორისო გამჭვირვალობის, Heritage Fundation-ის და სხვათა თანახმად, კორუფციასთან ბრძოლის კატეგორიაში ჩვენ გვაქვს 10-15%-იანი გაუმჯობესება ყოველწლიურად.

რა არის ამის მიზეზი? პასუხი პოლიტიკურ ნებაშია, მთელი გუნდის მიზანდასახულობაში. რა თქმა უნდა, ეს არ არის საბოლოო წერტილი. ჩვენ განვიხილავთ ამ დინამიზმს არა მხოლოდ თანამიმდევრულობის, არამედ რეფორმების განხორციელების სისწრაფის კუთხითაც, როგორც ქვეყნის წარმატების მნიშვნელოვან წინაპირობას.

საერთაშორისო პროექტები, ქვეყნის ადგილმდებარეობა წარმოადგენს ძირითად ასპექტს, მაგრამ, ამავე დროს, დამატებით ღირებულებასაც, რომელიც არსებითია იმისთვის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ქვეყანაში.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტმა შეცვალა ქვეყნის სატრანსპორტო რუკა. ასევე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა და ცენტრალური აზიის ქვეყნების, მაგალითად, ყაზახეთის, ასევე აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთისა და ევროპის ჩართულობა — მატარებელს, რომელიც გამოვიდა ჩინეთიდან, დასჭირდა მხოლოდ 9 დღე, რათა ჩამოსულიყო საქართველოში. ეს არის დიდი მიღწევა არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ქვეყნისთვის, არამედ ამ პროექტში ჩართული ყველა ქვეყნისთვის.

კითხვა — მოდით, ორიოდე სიტყვით ისევ კორუფციის თემას დავუბრუნდეთ. როგორც უკვე ვახსენეთ, ცხადია, რომ ქვეყანა ვერ გამდიდრდება, თუკი ის ვერ აღმოფხვრის კორუფციას. მე მაინტერესებს, პირიქით ვარიანტი თუ გვხვდება? ანუ, ქვეყანა, თუკი არ არის შეძლებული, ვერ ახორციელებს ეფექტიან ბრძოლას კორუფციასთან. ასეთი გამოწვევა თუ ფიქსირდება საქართველოს შემთხვევაში?

— ეს მართლაც არის გამოწვევა, რა თქმა უნდა. დღესდღეობით დემოკრატიის ხარისხს საქართველოში გამოწვევის სახით შეიძლება დაემუქროს სოციალური მდგომარეობა. ეს მართლაც არის დიდი გამოწვევა, რომელიც ეხება ეკონომიკურ განვითარებას და, ზოგადად, სიღარიბესთან ბრძოლას ქვეყანაში — ეს არის ქვეყნის განვითარების წინაშე მდგარი უდიდესი გამოწვევა.

სწორედ ამიტომ, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპეციალური სახელმწიფო პროექტების შემუშავება, რომლებიც გულისხმობს სიღარიბის დონის შემცირებას, სიღარიბის აღმოფხვრას. სწორედ ამიტომ ვამახვილებთ ყურადღებას დამწყები ბიზნესის მხარდაჭერაზე, სპეციალური ეკონომიკურ პროექტებზე სოფლად — მიკრო გრანტების პროექტებზე, პროექტზე „აწარმოე საქართველოში", დამწყები ბიზნესების ხელშეწყობაზე, განსაკუთრებით რეგიონებში, რაც ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით.

ბიზნესის შექმნის ეტაპზე ჩვენ ვახორციელებთ საბანკო სესხების სუბსიდირებას — მხოლოდ სასტარტო პერიოდში, რათა უარყოფითი გავლენა არ მოვახდინოთ კონკურენტულ გარემოზე. ასევე უნდა ვახსენო კომერციულ ბანკებთან ურთიერთობებში დამწყები ბიზნესების საგარანტიო ვალდებულებებში თანამონაწილეობა. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ახალ სფეროებში (ჰიდროპონიკა და წარმოების სხვა დარგები) უცხოელი ექსპერტების მოწვევა, დაფინანსება. ასე რომ, ლაპარაკია მთავრობის მხრიდან კომპლექსურ ზომებზე, რომელთა მიზანიცაა, ზოგადად, ქვეყანაში სიღარიბისგან მომავალი რისკების მინიმიზაცია.

ჟან-ივ შარლიე — ნება მომეცით, ჩაგერთოთ. ჩვენთვის, როგორც ინდუსტრიული მოთამაშეებისთვის, ძალიან დიდი სტიმულია საქართველოში მიმდინარე რეფორმები, ასევე, პრემიერ-მინისტრისა და მისი მთავრობის მიერ ბოლო წლებში გატარებული რეფორმების ხარისხი. დღეს ჩვენ ნათლად ვხედავთ იმ სიმარტივეს, რომელიც ახასიათებს საერთაშორისო ინვესტორების მიერ ბიზნესის წარმოებას საქართველოში. ვხედავთ, რომ, ზოგადად, რეგიონშიც მიმდინარეობს სულ უფრო აქტიური რეფორმები ამ მხრივ. ჩემი აზრით, კორუფციის საკითხი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ამ კონტექსტში, სადაც უნდა იყოს ნულოვანი ტოლერანტობა, როგორც ეს ნაგულისხმევია ჩვენს პოლიტიკაში. და ჩვენთვის ნათელია საქართველოს წინსვლა ამ მიმართულებით. ასე რომ, მხოლოდ დავადასტურებ ყველაფერს, რაც პრემიერ-მინისტრმა უკვე თქვა.

კითხვა — დავუბრუნდეთ კორუფციის შესახებ ჩემი შეკითხვის ბოლო ნაწილს. ეხმარება თუ არა საქართველო, ან შეუძლია თუ არა საქართველოს, გამოიყენოს თავისი გამოცდილება და დაეხმაროს თავის მეზობლებს, მათ, ვისაც ნაკლები პროგრესი აქვს კორუფციასთან ბრძოლაში?

— დახმარებას ვერ დავარქმევ, მაგრამ ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან. „ღია მმართველობის პარტნიორობის" პლატფორმის ფარგლებში ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი თანამშრომლობა ყველა მეზობელ ქვეყანასთან. ჩვენ ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას. ეს ინიციატივა კი ცალმხრივი ვერ იქნება. ის ყოველთვის ორმხრივად სასარგებლოა. ჩვენ არ უნდა შევხედოთ სხვა ქვეყნებს, თითქოს რაღაცნაირად განვსხვავდებით მათგან. ჩვენ ერთ რეგიონში ვცხოვრობთ. შეიძლება, ამა თუ იმ მიმართულებით ჩვენ მეტი წარმატება გვაქვს, მაგრამ სხვა სფეროებში მოვიკოჭლებთ. ასე რომ, ყველაფერში ყველაფრის მასწავლებლები ვერ გავხდებით.

ნება მომეცით, დავუბრუნდე განათლების საკითხს. მე რამდენიმე წელია, მთავრობის წევრი ვარ. ვიყავი ეკონომიკის მინისტრი, შემდეგ გავხდი პრემიერ-მინისტრი. ამ დროის განმავლობაში მქონდა შეხვედრები მეწარმეებთან, რომლებსაც ჰქონდათ პრობლემები ახალი ტექნოლოგიების იმპორტთან დაკავშირებით. როგორც კი ისინი იწყებდნენ ახალ პროექტს, ყოველთვის აწყდებოდნენ კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემას. ვუსმენდი ამ ჩივილს — **„პრობლემა მაქვს ჰოლანდიიდან, გერმანიიდან იმპორტირებული ძროხებისთვის კვების სპეციალისტის პოვნასთან დაკავშირებით", „ვერ ვპოულობ კომპიუტერული პროგრამების დეველოპერს ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპანიისთვის, რომელიც საქართველოში შემოდის".**

ჩვენ წამოვაყენეთ კერძო კომპანიებთან ერთად პროფესიული განათლების თანადაფინანსების იდეა. ეს საკითხი იქცა უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად ჩვენი ქვეყნისთვის. უმაღლეს და პროფესიულ განათლებას შორის, ზოგადად, ძალიან არაჯანსაღი პროპორციის შეცვლა და ქვეყანაში პროფესიული განათლების პრესტიჟულობის ამაღლება არის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი.

ჩვენ მაგალითად ავიღეთ ორმაგი განათლების გერმანული მოდელი, რომელიც ასევე გამოიყენება შვეიცარიაში, ავსტრიაში. ჩვენ ვსწავლობთ მათ გამოცდილებას და ქვეყანაში ვაშენებთ პროფესიული განათლების ძალიან წარმატებულ მოდელს, კერძო კომპანიებთან ერთად ვახორციელებთ მის თანადაფინანსებას კერძო-საჯარო პარტნიორობის ინიციატივების ფარგლებში, რითიც ვპასუხობთ კერძო სექტორის გადაუდებელ საჭიროებებს და, ამავე დროს, ახალგაზრდებს და არა მხოლოდ — ყველას ვაძლევთ სწრაფი დასაქმების შესაძლებლობას, პროფესიული განათლების მიღების დასრულებისთანავე.

კითხვა — ამჟამად მიმდინარეობს გლობალური კონკურენცია ნორმების დადგენაში. ევროკავშირი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმების დამდგენი ორგანიზაციაა მსოფლიოში. საქართველომ გააკეთა მკაფიო არჩევანი ევროკავშირის ნორმებთან მაქსიმალურად დაახლოებასთან დაკავშირებით. თქვენი აზრით, რამდენად წონიანია ევროპული ნორმები რეგიონში? რა გზებით შეუძლიათ ევროპელებს რეგიონში თავიანთი ნორმების დომინირების უზრუნველსაყოფად?

— შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ, რას გულისხმობთ ნორმებში?

კითხვა — ნორმების კომპლექტი, რომლებითაც იმართება ვაჭრობა და მომსახურება, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ვაჭრობის განვითარებისთვის. ჩვენ ვიცნობთ აშშ-ის და ევროკავშირის მიერ შემუშავებულ ნორმებს. არის მათი შერწყმის შემთხვევებიც, მაგრამ არის განსხვავებებიც. საინტერესოა, როგორ უყურებენ ამ საკითხს სხვადასხვა ქვეყანაში?

— ორიოდე სიტყვით რომ შემოვიფარგლო, შუალედურ და უფრო გრძელვადიან ჭრილში საქართველო თვლის, რომ ის არის ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი. ასე რომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, მივიღოთ ევროკავშირის ყველა რეგულაცია და ნორმა, მაგრამ ჩვენ გვაქვს ეტაპობრივი დაახლოების დღის წესრიგი და სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ევროპული ნორმების დანერგვას წინასწარ შემუშავებული გრაფიკით. ახლახან ჩვენ შევიმუშავეთ კიდევ უფრო აქტიური დღის წესრიგი 2020 წლისთვის, რომელიც სცდება განრიგის ფარგლებს, ანუ წინ უსწრებს მას ევროპული ნორმების დანერგვის კუთხით.

ჯერჯერობით შეინიშნება მხოლოდ პოზიტიური დინამიკა, რომელიც ახლავს ევროპული ნორმების დანერგვის პროცესს, რომელიც ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს ევროპის ბაზარზე როგორც პროდუქციის, ისე მომსახურების ექსპორტის კუთხით.

ჩვენი ასოცირების ხელშეკრულების თანახმად (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების ჩათვლით), ჩვენ შეგვიძლია ჩვენი პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვა ევროპულ ბაზარზე. რატომ არის ეს ასე მნიშვნელოვანი? ის არ იქნება ასეთი მნიშვნელოვანი, თუკი მას განვიხილავთ, როგორც ცალკე მდგარ, განყენებულ შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. გარდა ამ შეთანხმებისა, ჩვენ გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (მაგალითად, შვეიცარიასთან და ასოციაციის სხვა წევრ ქვეყნებთან), ყველა მეზობელ ქვეყანასთან, ასევე ჩინეთთან.

როცა დავიწყეთ მოლაპარაკებები ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებით, მახსოვს სკეპტიციზმი და შიში ქვეყნის შიგნით, ბიზნესის წარმომადგენელთა შორის, შიში, რომ ამან შეიძლება დაასამაროს საქართველოს ინდუსტრიული განვითარების პერსპექტივები. ასე არ მოხდა. საქართველოში შეინიშნება სრულიად საპირისპირო ტენდენცია. ჩინური კომპანიები განიხილავენ საქართველოს, როგორც წარმოების პოტენციურ ადგილს, ცენტრს, სულ მცირე, პროდუქციის ნაწილობრივი წარმოების კუთხით, რათა ეს ნაწარმი გაიყიდოს ევროპის ბაზარზე, და პირიქით.

დღეს ჩვენ გვქონდა რამდენიმე შეხვედრა ინდურ კომპანიებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოში ფილიალების გახსნით ბიზნესის აუთსორსინგის მიზნით. ეს კი ნიშნავს, რომ საერთაშორისო ვაჭრობისთვის გახსნას მეტი პერსპექტივა მოაქვს, ვიდრე დაბრკოლება.

სწორედ ამას ცხადყოფს საქართველოს გამოცდილება და ეს არის თავისუფალი ვაჭრობის სარგებლიანობის იდეალური ემპირიული დადასტურება საქართველოს მაგალითზე.

რა სტკივა საქართველოს ეკლესიას?!

ფოთისა **და ხობის მიტროპოლიტმა ბრიგოლ ბერბიჭაშვილმა** **საშობაო ქადაგებაზე საპატრიარქოს ფაქტიურად „ფრონტი გაუხსნა“ — მან ღიად წარმოაჩინა დღევანდელ საქართველოს ეკლესიაში დაგროვილი მწვავე პრობლემები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ გამოწვევებს ადეკვატური პასუხი უნდა გაეცეს.**

კერძოდ, მან თქვა, რომ ჩვენ საკუთარი ცხოვრებიდან თანდათან „გავაქრეთ“ ქრისტე და საჭიროა, იგი „დავაბრუნოთ“. ამასთან, საჭიროა ეკლესიის, **„როგორც ყველაზე გავლენიანი სისტემის უზრუნველყოფის განხორციელება“, „ეკლესიის ინფრასტრუქტურის განვითარება და კონტროლის მექანიზმების დახვეწა“**. მან ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ეკლესიას თანდათან მრევლი აკლდება, რაც მისი ავტორიტეტის დაკნინებაზე მიანიშნებს და ღრმა ანალიზს მოითხოვს.

მეუფის მხრიდან „გახსნილი ფრონტი“, ანუ საპატრიარქოს და მისი საჭეთმპყრობლის ღია ოპონირება, გარკვეული სტიმული გახდა სასულიერო პირებისა და თეოლოგებისთვის.

დეკანოზი **ლევან მათეშვილი** ოპერატიულად გამოეხმაურა მღვდელმთავრის „ამბოხებას“ და საკმაოდ დამაფიქრებელი ანალიზიც დადო. არსებული სიტუაციის ობიექტური შეფასება და მის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები აშკარად ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკლესიაში საკმაოდ მწვავე პრობლემები დაგროვდა და თუ დროზე არ დავარისხეთ განგაშის ზარი, ქართველი საზოგადოება სერიოზული დილემის წინაშე დადგება.

სტატიაში გზადაგზა შევეხები მამა **ლევან მათეშვილის** მიერ წამოჭრილ პრობლემებს.

გაცილებით მძიმედ იკითხება თეოლოგ **ზელიმხან უძილაურის** სტატია. ავტორი ღიად ამხელს საქართველოს ეკლესიაში არსებულ პრობლემებს და არც კონკრეტული პირების დასახელებას ერიდება.

უძილაური თვლის, რომ **„დღევანდელი საქართველოს ეკლესია სხვადასხვა იდეოლოგიისა და სპეცსამსახურის სამიზნეა“, „დაუსრულებელი ბრძოლა მიმდინარეობს ეკლესიის შიგნით არსებულ დაჯგუფებებს შორის“**. იგი არ გამორიცხავს, რომ ხალხი ზურგს შეაქცევს დასუსტებულ, შიდა დაპირისპირების არენად ქცეულ ეკლესიას. თუმცა, უფრო შორსაც მიდის და აცხადებს, რომ **„ეკლესიას მაღალი იერარქების და საპატრიარქოს გარემოცვის ხელში დიდძალი ქონებაა თავმოყრილი“ და ეს მაშინ, როცა „რიგითი სამღვდელოება დაუცველია და დაჩაგრული მღვდელი გაჭირვებული და მშიერი დაეხეტება“...**

საქართველოს ეკლესიაში არსებულ პრობლემებზე საკუთარი აზრი, როგორც რიგით მრევლს, ადრე მეც გამომითქვამს. სასულიერო პირების აქტიურობამ და მათი მხრიდან ეკლესიის ღია ოპონირებამ, სურვილი გამიჩინა ამ თემას ისევ დავუბრუნდე.

ეკლესია სერიოზული დილემის მოლოდინში!

სტატიაში **„შეთქმულება ეკლესიის წინააღმდეგ თუ შიგნიდან გატეხილი ციხე“** (ივერიონი“, 24,02,2017), ხაზგასმით ვწერდი, რომ ოპერაცია **„ციანიდით“ „საქართველოს ეკლესიის მტრები ეკლესიაში არეულობის შეტანას და იქ არსებული განხეთქილების საბოლოოდ „გაფორმებას“ აპირებდნენ“** და ეს აწყობდა იმას, **„ვისაც დაუოკებელი სურვილი აქვს, შეარყიოს ეკლესიის შეუვალი ავტორიტეტი და ერი სულიერი საყრდენის გარეშე დატოვოს“.**

მიუხედავად იმისა, რომ მე სპეციალობით არც თეოლოგი ვარ და არც ღვთისმეტყველების სპეციალისტი, როგორც რიგითი მრევლი, თავს უფლებას ვაძლევ, ჩემი გადასახედიდან გავაანალიზო ის პრობლემები, რომელსაც ეკლესიის წიაღში ვხედავ და რომლის უგულვებელყოფამაც შესაძლოა, სრულ კატასტროფამდე მიიყვანოს ქვეყანა!

როგორც ზემოთ ხსენებულ სტატიაში ვწერდი, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია ქრისტეს სხეულია, იგი ამავდროულად ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც გადაცდომებისგან ვერ იქნება დაზღვეული. როგორც ეკლესიის წიაღში მოღვაწე მღვდლისა თუ მღვდელმთავრის საუბრიდან ჩანს, **დღეს უკვე არა ნებსით თუ უნებლიე გადაცდომასთან გვაქვს საქმე და თუ ამას წავუყრუებთ, მოსალოდნელი შედეგი საქართველოს ეკლესიის არა მარტო დაკნინება, არამედ, მასში სრული დეზორგანიზაციის შეტანა იქნება, რაც საბოლოოდ სახელმწიფოს კრახით დასრულდება.**

დღეს, როცა საზოგადოებას ხელისუფლების სახით სახელმწიფოს რეალური მესაჭის განცდა არა აქვს, ერთადერთი ავტორიტეტია საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელზეც დგას ჯერჯერობით საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტიც.

ვეთანხმები მამა **ლევან მათეშვილს, რომ პატრიარქის იმ სამყაროში გადასახლებასთან ერთად ერთ ადამიანზე დაყრდნობილი ავტორიტეტიც ხუხულასავით დაინგრევა და საქართველოს ეკლესია სერიოზული დილემის წინაშე დადგება, ანუ სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ჩამოიშლება.**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორია სავსეა განსაცდელებით — მუდმივი შიდა დაპირისპირებებით, ავტოკეფალიის გაუქმებით თუ სრული უღმერთობის (ათეიზმი) 70-წლიანი ეპოპეით, მომავალი განსაცდელი ყველაზე საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს!

ნიშანდობლივია ისიც, რომ ხელისუფლების როლი (ადრეც და ახლაც) მოსალოდნელ კატასტროფაში არსებითია — **იგი თვითონაა დაინტერესებული, დეზორგანიზაცია შეიტანოს ეკლესიაში და ამით უმტკივნეულოდ გაანეიტრალოს ქვეყანაში არსებული ერთადერთი ოპონენტი** (თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად თანმიმდევრულია ეკლესიის მხრიდან ხელისუფლების ოპონირება). **ერთადერთი გამონაკლისი იყო ზვიად გამსახურდია, რომელმაც ღიად ამხილა ეკლესიაში არსებული მწვავე პრობლემები და ახალი რუის-ურბნისის კრების ჩატარებისა და დიდი საეკლესიო რეფორმის იდეა წამოაყენა.**

ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა ბედი ეწია გამსახურდიას ხელისუფლებას და რა ჭორები დადიოდა (და დღესაც დადის) იმ საბედისწერო დღეებში საქართველოს ეკლესიის (ამ შემთხვევაში, საპატრიარქოს) დამოკიდებულებაზე პუტჩთან მიმართებაში. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ეკლესიას კანონიერი ხელისუფლების ძალადობით დამხობის გამო, მაშინ პროტესტი არ გამოუთქვამს და უცხო ძალების მიერ ხელოვნურად ინსპირირებული ძმათამკვლელი ომი არ დაუგმია. აქსიომაა, რომ საქართველო ზუსტად იმ საბედისწერო ღალატის შედეგს იმკის!

დაგვიანებული თუ თავსმოხვეული გადაწყვეტილება?!

პატრიარქის მხრიდან სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტის შიოს (მუჯირი) მოსაყდრედ მოულოდნელმა დანიშვნამ აჟიოტაჟი შეიტანა საეკლესიო წრეებში და კიდევ უფრო გაზარდა შიდა დაპირისპირების მასშტაბები.

საქმეში ჩაუხედავმა ადამიანებმა, პატრიარქის ეს გადაწყვეტილება ისე მიიღეს, თითქოს მისმა უწმინდესობამ საკუთარი შემცვლელი, ანუ საქართველოს ეკლესიის მომავალი საჭეთმპყრობელი დაასახელა. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით, რომელიც მიღებულია 1995 წელს, მოსაყდრე შეიძლება იყოს პატრიარქობის ერთ-ერთი კანდიდატი სამ კანდიდატს შორის, თუმცა, ეს სტატუსი მას განსაკუთრებულ პრივილეგიას არ ანიჭებს, რადგან, საბოლოო გადაწყვეტილებას წმინდა სინოდი იღებს. ზოგს მოსაყდრე თანამოსაყდრეში ეშლება, რომელსაც პირველისგან განსხვავებით, მოქმედი პატრიარქისგან დელეგირებული აქვს გარკვეული უფლებამოსილება და მისსავე სიცოცხლეში მონაწილეობას ღებულობს ეკლესიის მართვაში.

სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში მიტროპოლიტი შიო მხოლოდ მოსაყდრეა და მას სათანადო უფლებამოსილება არ გააჩნია, თუ არ ჩავთვლით იმ უპირატესობას, რომ მას პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ უფლება აქვს, მოიწვიოს (მოამზადოს) სინოდის სხდომა და პატრიარქობის კანდიდატად საკუთარი პერსონაც დაასახელოს.

საქმეში ჩახედული ადამიანები მიიჩნევენ, რომ პატრიარქმა ან იჩქარა და სათანადო უფლებამოსილებით არ გაამყარა საკუთარი გადაწყვეტილება, ან აიძულეს, ეს გადაწყვეტილება მიეღო და ამით კიდევ უფრო გაართულა მისი მემკვიდრის არჩევის პროცედურა (უკვე იმასაც ამბობენ, რომ პატრიარქის ნაჩქარევი გადაწყვეტილების უკან მისი მდივანი **შორენა თეთრუაშვილი** დგას!).

საქმე იმაშია, **რომ მიტროპოლიტი შიო, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც საეკლესიო მოღვაწე, დადებითად ხასიათდება, საქართველოს ეკლესიაში (წმინდა სინოდში) არსებული გავლენის არც ერთი ჯგუფის მხარდაჭერით არ სარგებლობს, რაც ხელ-ფეხს უხსნის ეკლესიის რეაქციულ ძალებს, გახლიჩონ ეკლესია და საქართველო რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) პატრიარქის მოწმე გახდეს** (სხვათაშორის, თავის დროზე **სააკაშვილის** რეჟიმს ჰქონდა ავანტიურისტული გეგმა **„ორი პატრიარქი“**, რომელსაც **„ბოკერიას გეგმას“** უწოდებენ, თუმცა, არ დასცალდათ!).

თუ მდგომარეობას რეალურად შევაფასებთ, პირდაპირ უნდა ითქვას: **საქართველოს ეკლესია ჩიხშია შესული, საიდანაც გამოსვლა ქართველი ერის სრულ მობილიზებას მოითხოვს — ეკლესიის წიაღში მოკალათებულ რეაქციულ ძალებს არ უნდა მივცეთ საშუალება, საბოლოოდ დააკნინონ ეკლესიის ავტორიტეტი და მისი მთლიანი ორგანიზმი შუაზე გახლიჩონ. თუ ამას მიაღწიეს, ეს იქნება ქართველი ერის, ზოგადად, ქართული სახელმწიფოს, განადგურების ტოლფასი!**

აქსიომაა ისიც, რომ თუ წმინდა სინოდის სხდომის ჩატარება მოხერხდა, **დიდი ალბათობით, პატრიარქის გადაწყვეტილების რევიზია მოხდება და მოსაყდრე შეიძლება გადააყენონ, რაც ეკლესიაში დეზორგანიზაციის შეტანის წინაპირობა იქნება (როგორც ამბობენ, სწორედ ამ მიზეზით არ იკრიბება წმინდა სინოდი)!!!**

შედარებით უკეთეს რეალობას მივიღებთ, თუ მისი უწმინდესობა ჯანმრთელობის გაუარესების მოტივით მიტროპოლიტ შიოს თანამოსაყდრედ დანიშნავს და მართვის უფლებამოსილების დელეგირებასაც მოახდენს. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება მყარი **გარანტია, რომ ეკლესიის გახლეჩისა და რეაქციული ძალების გააქტიურების საშიშროება საბოლოოდ თავიდან ავიცილოთ, მაგრამ ავანტიურისტული სცენარის შერბილების საფუძველს ნამდვილად მოგვცემს.**

თუ მისმა უწმინდესობამ ეს ნაბიჯი დროულად გადადგა, პატრიარქის ტახტისთვის გამართულ „ხელჩართულ ბრძოლაში“ საზოგადოების შემაკავებელი ფაქტორი უფრო ეფექტური გახდება!

ყველა თვითონ ქმნის საკუთარ გარემოცვას!

ამ სიტყვებში არა მარტო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და უღმერთობის (ათეიზმი) სამოცდაათწლიანი ეპოპეა იგულისხმება, არამედ, საქართველოს ეკლესიის წიაღში არსებული შიდა დაპირისპირებებიც და სამარცხვინო „ბრძოლები“ პატრიარქის ტახტის ხელში ჩასაგდებად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორია ეკლესიის წიაღში შემოპარული სულმდაბალი ადამიანების ისტორიაცაა, მადლობა ღმერთს, საკმაოდ გვყავდა რწმენისთვის თავდადებული, ქრისტეს ერთგული მხედრებიც, რომელთა მხრებზეც იდგა ეკლესიის ერთიანობა და ავტორიტეტიც. ნიშანდობლივია, რომ ეს ავტორიტეტი ვერც ათეისტურმა ჯოჯოხეთმა შეარყია...

საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღვაწლზე და დამსახურებაზე ქართველი ერისა და საქართველოს ეკლესიის წინაშე. **მის სახელს უკავშირდება ასეულობით ახალი ეკლესია-მონასტრის აშენება და ძველის აღდგენა-რესტავრაცია, სასულიერო სასწავლებლების დაარსება. მისი მოღვაწეობის გვირგვინია წმინდა სამებისა და მახათას მთაზე მშენებარე ივერიის (რომელიც დასრულების პროცესშია) ღვთისმშობლის ხატის სახელობის გრანდიოზული ტაძრები. ერთი სიტყვით, მას დიდი ღვაწლი აქვს შეტანილი ქართველი ერის სულიერ გამოღვიძებაში. თუმცა, არის შეცდომებიც, რომლებმაც დღეს საკმაოდ მწვავედ იჩინეს თავი.**

უპირველესად, ეს ეხება იმ გარემოცვას, რომელიც დღეს დასუსტება-გახლეჩით ემუქრება ქართულ ეკლესიას. მხედველობაშია მისაღები ხელოვნურად გაზრდილი ეპარქიებიც, რამაც ხელი შეუწყო წმინდა სინოდის დაპირისპირებულ ჯგუფებად ფორმირებას. არც ის არის დასამალი, რომ ტრადიციად იქცა წარსულში

საეჭვო რეპუტაციის მქონე სასულიერო პირების მღვდელმთავრის ხარისხში აყვანა და დაბალი კვალიფიკაციის სასულიერო დასის ხელდასხმა, რომელიც ზიანს აყენებს ეკლესიის ავტორიტეტს და ისედაც მცირედმორწმუნე მრევლის გაუცხოებას იწვევს. არის ეკლესიის მართვაში დაშვებული სხვა შეცდომებიც — სამწუხაროდ, დღესაც აშკარაა რუსული ეკლესიის გავლენა და საქართველოს ეკლესიის სხვა მართლმადიდებელი სახელმწიფოების ეკლესიებისგან იზოლაცია! ნიშანდობლივია ისიც, რომ დღევანდელი საპატრიარქო უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების რკალშია მოქცეული... (ჩემი მხრიდან, მისი უწმინდესობისადმი მოწიწებისა და ქრისტესმიერი სიყვარულის დასტურია თავის დროზე ჩემივე ავტორობით გამოცემული წიგნი - „ჩემი პატრიარქი". თუმცა, ეს არ მიშლის ხელს, ვისაუბრო იმ პრობლემებზეც, რომელიც აშკარაა და საფრთხეს უქმნის ეკლესიის ერთიანობას).



საპატრიარქოს „რუხი კარდინალი" და იქ შეპარული „ურჩხულები"

ვიდრე საპატრიარქო ე.წ. **„რუხი კარდინალისგან"** („რუხი **კარდინალი"** პრაქტიკაში აპრობირებული ტერმინია. ასეთებად იწოდებიან ადამიანები, რომელთაც მაღალ იერარქიაში უმაღლესი თანამდებობა არ უჭირავთ, მაგრამ, პოლიტიკას განსაზღვრავენ. ასე მაგალითად, შევარდნაძის ხელისუფლებაში ეს ტიტული აწგანსვენებულ **ნუგზარ საჯაიას** ჰქონდა, ხოლო სააკაშვილის ხელისუფლებაში **ზურაბ ადეიშვილს**) და იქ მოკალათებული სხვა „ურჩხულებისგან" არ გაიწმინდა, ქართული ეკლესიის დასუსტება-გახლეჩის საშიშროება დღითი დღე მატულობს!

„რუხ კარდინალში" პატრიარქის მდივანი, ქალბატონი **შორენა თეთრუაშვილი** იგულისხმება, **რომელიც, როგორც ამბობენ, საპატრიარქოში საკმაოზე მეტ ძალაუფლებას ფლობს და მის წინაშე სინოდის წევრებიც კი თავს ანგარიშვალდებულად გრძნობენ.**

აი, რას წერს პატრიარქის მდივანზე თეოლოგი **ზელიმხან უძილაური:**

„ჩვენ ბოროტების პერსონალიზაციისა და ვინმეს დემონიზაციის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ, ყველა მონაცემის მიხედვით ეს მისია რუსულმა სპეცსამსახურებმა პატრიარქის პირად მდივანს, ქალბატონ შორენა თეთრუაშვილს დააკისრა. ამ შემთხვევაში მას სხვას ვერაფერს ვუწოდებ, თუ არა ურჩხულს. ამ ქალბატონმა ურჩხულმა დაიმატა რამდენიმე დამხმარე ურჩხულიც, რომელთა შორის გამოირჩევა პროტოპრესვიტერი, აკადემიის რექტორი გიორგი ზვიადაძე".

„ამ ურჩხულის არსებობის პირობებში ყოველგვარი პოზიტიური ხმა, არჩევანი თუ ეკლესიის გადარჩენის მცდელობა ჩაილულის წყალს დალევს"...

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. „ციანიდის" საქმემ კიდევ ერთხელ გააშიშვლა „რუხი კარდინალის" განსაკუთრებული მისია საპატრიარქოში, მისი ძალაუფლება მაინც ვერ შეარყია. არადა, სტატუს-კვოს შენარჩუნებით იგი რეალურ საფრთხეს უქმნის საქართველოს ეკლესიის მომავალს, რაშიც მომავალი პატრიარქის გამორჩევაც იგულისხმება.

რაც შეეხება **ზელიმხან უძილაურის** მიერ დასახელებულ მეორე „ურჩხულს", პატრიარქის პროტოპრესვიტერს, სასულიერო აკადემიის რექტორს გიორგი ზვიადაძეს, ამ ორიოდე წლის წინ **„ივერიონში"** ახალგაზრდა თეოლოგი **გიორგი ტიგინაშვილი** მას საკმაოდ დამამძიმებელ ბრალდებებს უყენებდა;

როგორც ამბობენ, ქ-ნ **შორენა თეთრუაშვილთან** ერთად, იგი საკმაოდ დიდ გავლენას ფლობს საპატრიარქოში და ეს გავლენა არა მარტო სასულიერო აკადემიაში არსებულ ვითარებას უკავშირდება (როგორც ამბობენ, რექტორი არ წყალობს უცხოეთში სწავლა-განათლება მიღებულ თეოლოგებს და ღვთისმეტყველებს, ამასთან საკმაოდ უხეში და „შეუვალია" სტუდენტებთან ურთიერთობაშიც. ამბობენ იმასაც, რომ იგი აქტიურად მონაწილეობს მღვდლების ხელდასხმაში და კორუფციულ სქემაში მისი სახელიც ფიგურირებს).

* * *

არავინ უარყოფს, რომ საქართველოს ეკლესია დღეს განსაკუთრებული დილემის წინაშე დგას, თუმცა, ძალიან ცოტა ფიქრობს იმაზე, თუ როგორ უნდა ვიხსნათ იგი ეკლესიის დაუძინებელი მტრების კლანჭებიდან. მოცემულ ეტაპზე, ყველაზე აქტუალურია, ვინ იქნება დღევანდელი პატრიარქის მემკვიდრე და როგორი უნდა იყოს იგი?

როგორც ზემოთ ვთქვი, ამ თემას საკმაოდ კვალიფიციური სტატია მიუძღვნა მამა ლევან მათეშვილმა. იგი საქმის ცოდნითა და სასულიერო პირისთვის დამახასიათებელი აკადემიურობითაა დაწერილი და ამდენად არ განვმეორდები.

თუმცა, ხაზგასმით ვიტყვი: მთავარია, არა მარტო იმის გარკვევა, თუ როგორი უნდა იყოს მომავალი პატრიარქი და რა სახის რეფორმები უნდა გაატაროს მან საქართველოს ეკლესიაში, არამედ, უპირველესად იმისთვის უნდა ვიბრძოლოთ, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან ეკლესიის გახლეჩა და მისი ავტორიტეტის საბოლოოდ დაკნინება, რაც (როგორც უკვე ვთქვი) საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დაკნინების (იქნებ, განადგურებისაც!) ტოლფასი იქნება!

რაც შეეხება საკუთრივ საქართველოს ეკლესიის მომავალს, ვეთანხმები მამა ლევან მათეშვილს, რომ აუცილებელია მისი ინსტიტუციონალური და სტრუქტურული რეორგანიზაცია — უპირველესად, იგი უნდა გაიწმინდოს „უცხო სხეულებისგან", ანუ მღვდლისა, თუ მღვდელმთავრის კაბას (ანაფორას) ამოფარებული საეჭვო რეპუტაციის სასულიერო პირებისგან.

ვეთანხმები იმაშიც, რომ საქართველოს ეკლესიას ნამდვილად აკლია კვალიფიციური თეოლოგები, რაც გარკვეულწილად უარყოფითად აისახება ეკლესიის ავტორიტეტზე და შესაბამისად, სასულიერო პირებისადმი ნდობის ხარისხსაც ამცირებს.

ვეთანხმები იმაშიც, რომ მომავალი პატრიარქის არჩევაში არ უნდა ჩაერიონ „ეკლესიის წიაღში არსებული რადიკალური დაჯგუფებები", ამასთან, ქართული ეკლესია უნდა ვიხსნათ იზოლაციონალიზმისგან და ფუნდამენტალიზმისგანაც.

კიდევ ერთხელ ვიტყვი: მამა ლევან მათეშვილის სტატიიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოს ეკლესიაში საკმაოდ მწვავე პრობლემები დაგროვდა და როგორც არასდროს, დღეს იგი მძიმე განსაცდელშია — იმდენად მძიმე, რომ მას მხოლოდ ახალი დავით აღმაშენებელი თუ უშველის. თუმცა, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ასეთი რეფორმატორის მოსვლა არარეალურია.

ვინაიდან, ახალი დავით აღმაშენებლის მოსვლა საქართველოს ხელისუფლებაში ნულის ტოლია, ეს მისია საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა (ღირსებაშერჩენილმა, ქვეყნის მომავალზე მოფიქრალმა ადამიანებმა) უნდა იტვირთოს — უნდა მოხდეს საზოგადოებრივი აზრის მაქსიმალური მობილიზება, რომ ძირფესვიანად აღიკვეთოს ბუნტი ეკლესიაში და მისი მარტივ-მამრავლებად დაშლა.

თუ არ ვიფხიზლეთ, უდავოა, რომ ჩვენს ეკლესიას „ეშმაკები" დაეპატრონებიან!

ზაურ ნაჭყებია

ნოსტალგიაზე არავინ ლაპარაკობს, ყველა ფიქრობს ფულზე!

საგანგაშო სიგნალი ხელისუფლებისთვის

ევრაზიული კავშირის სასარგებლოდ გაზრდილ ტენდენციას საგანგაშო სიგნალად მიიჩნევენ ქართველი ექსპერტები. მათი აზრით, ვიზალიბერალიზაციის შემდეგ უბრალო ხალხისთვის არაფერი შეცვლილა, ამიტომაც ევროკავშირის მიმართ სკეპტიციზმი გაზრდილია და ეს პრობლემა ჩვენი ხელისუფლების მისახედია.

NDI-ის კვლევას თუ ვენდობით, გამოკითხულთა 70%-სთვის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება მისაღებია, თუმცა 29% ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეა. როგორც ჩანს, სწორედ ეს 29%-ია, რომლისთვისაც რუსეთის იქით გზა არ არსებობს. ამ კონტექსტში საინტერესოა კიდევ ერთი პროცენტული მაჩვენებელი. კერძოდ, გამოკითხულთა უმრავლესობა (41%) რატომღაც მიიჩნევს, რომ სამხედრო ძალის თვალსაზრისით რუსეთი ამერიკაზე (36%) ძლიერია.

რას ეფუძნება რუსეთის ასე ჰიპერბოლიზაცია და რატომ უჩნდება საქართველოს მოსახლეობას ევრაზიული კავშირის ნოსტალგია?!

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** აცხადებს, რომ ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეთა რიცხვის ზრდას თავისი მიზეზები აქვს. პირველი, ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ევროკავშირში ჩვენი გაწევრიანების პერსპექტივა, ფაქტობრივად, დასრულდა და არავითარი იმედი არ არსებობს ჩვენს გასაწევრიანებლად. ეს არაერთხელ იყო გაცხადებული ევროკავშირის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომ ევროკავშირი გაფართოების პოლიტიკის შემდგომ განვითარებას არ აპირებდა. ასე რომ, ვიზალიბერალიზაცია არის ბოლო სიკეთე, რაც ჩვენ, კარგი გაგებით, გადმოგვიგდეს. მართალია, ასოცირებული წევრობაც კარგია, მაგრამ ასე თავის დროზე სირიაც იყო ასოცირებული წევრი. თურქეთი კი უკვე 50 წელია, ასოცირების სტატუსის მქონეა. ამდენად, ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით შემდგომი მოტივაცია დინამიკურ კონტექსტში არ ვითარდება.

„ცხადია, ამდენი ლოდინით დაიღალა ჩვენი მოსახლეობა. აქ კიდევ ერთი მომენტიცაა. სამწუხაროდ, ევროიტენგრაციის მთავარი რუპორები არიან ის პოლიტიკური ძალები, რომლებმაც თავის დროზე სისხლიანი რეჟიმი დააწესეს საქართველოში და მათ მიმართ ნდობის ელემენტი ძალზე დაბალია. ისინი ევროკავშირისა და ნატოს მიმართულებითაც ცუდ როლს ასრულებენ. კიდევ ერთი ფაქტორია, რომ დღევანდელ ჩვენს ხელისუფლებას აქვს გაურკვეველი მესიჯები. ეს არის ირიბი პროპაგანდა, რომ ჩვენი ექსპორტი გაიზარდა რუსეთში, ამით ჩვენს მოსახლეობასაც უჩნდება იმედი, რომ ევრაზიული ბაზარი არ უნდა დავივიწყოთ. ამას ემატება ტერიტორიული მთლიანობისა და კონფლიქტების მოგვარების უპერსპექტივობის სრული განცდა", — აცხადებს ვახტანგ მაისაია და შეკითხვის საპასუხოდ, რამდენად საშიშია ევრაზიული კავშირის სასარგებლოდ გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი, განმარტავს, რომ ეს ცივი ომია რუსეთსა და დასავლეთს შორის. „ამიტომ ან აქეთ ხარ, ან იქით, სხვა ალტერნატივა არ არსებობს. მანამდე კიდევ შეიძლებოდა მანევრირება და იმის თქმა, თქვენიანიც ვარ და იმათიანიც. დღეს კი ეს მომენტი არ არსებობს".

ექსპერტი მიგრაციის საკითხებში **ნანა ნაზაროვა** აცხადებს, რომ ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების სურვილი სულაც არ არის საბჭოური ნოსტალგია. უბრალოდ, ეს არის სუფთა მოგების სურვილი, ფულის ინტერესი. ნოსტალგიაზე ახლა არავინ ლაპარაკობს, ყველა ფიქრობს ფულზე.

„მე მგონი, ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების სურვილს უფრო ასაკოვანი თაობა გამოხატავს. ევრაზიული კავშირი მათთვის იმიტომ არის მიმზიდველი, რომ მათ არ იციან, რა წესებით თამაშობს რუსეთი. კარგი იქნება, ამ წესების შესახებ უფრო ინფორმირებული იყოს ჩვენი მოსახლეობა. ისინი ფიქრობენ, რომ თუ ევრაზიული კავშირი მათთვის ღია იქნება, მათ ექნებათ სამუშაო, ჩრდილოეთში წავლენ საცხოვრებლად. ამ დროს რუსეთის ფიქრები ძალზე შეზღუდულია, რუსები არ ვითარდებიან. ქვეყანა, რომელსაც ამხელა რესურსი გააჩნია, მხოლოდ ნედლეულის ბაზის იმედადაა დარჩენილი. ეს რა ქვეყანაა?! ინტელექტი იქიდან უკვე დიდი ხანია, წასულია, რუსეთიდან უზარმაზარი გადინება ხდება, მეცნიერები აღარ დარჩათ. კიდევ რისი იმედი აქვთ? იმის, რომ იარაღი აქვთ? ის იარაღიც უკვე დაძველებულია. ვინ ყიდულობს მათ ტექნიკას?" -აცხადებს ნანა ნაზაროვა და ფიქრობს, რომ ევროპასთან ვიზალიბერალიზაციის სიკეთე მარტო ვიზის გამარტივებით არ შემოიფარგლება. ამას უამრავი სიკეთე მოჰყვება. თორემ უშუალოდ ვიზებისგან სიკეთეს ნანა ნაზაროვა არც ელოდა. მისთვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ, ვისაც წასვლა უნდოდა, ის ისედაც წავიდოდა და დარჩებოდა ევროპაში, ხოლო, ვისაც წასვლა არ უნდოდა, ისედაც არ წავიდოდა.

„ევროპაში წავიდნენ ისინი, ვისაც წასვლა სურდა, თორემ მე არასდროს მიფიქრია სადმე წასვლასა და დარჩენაზე. იმდენად კარგად ვიცი, რა არის მიგრაცია, რომ წასვლაზე არც მიფიქრია. ასოცირების ხელშეკრულებაში უამრავი რამ არის ჩადებული, რაც ბოლოს და ბოლოს საქართველოს უფრო მაღალ დონეზე აიყვანს. ევრაზიულ კავშირში შესვლა კი უკან გადადგმული ათი ნაბიჯი იქნება. ამის მიუხედავად, სულაც არ ვფიქრობ, რომ ევრაზიული კავშირის მომხრეთა რიცხვის ზრდა საქართველოში საშიშია. უბრალოდ, სხვა მეთოდოლოგიით ჩატარდა ეს კვლევა. მე ამას მეთოდოლოგიის პრობლემად მივიჩნევ და, ნაწილობრივ, იმითაც ვხსნი, რომ ქვეყანაში ინფლაცია და მძიმე სოციალური ფონია. რა არის ეს პენსია, რომელიც უკვე 50 დოლარია? როგორ უნდა იცხოვრონ პენსიონრებმა ამ პენსიით?"

მანანა ნოზაძე

...ადამიანების შესახებ

ადამიანი იმ მთელის ნაწილია, რომელ მთელსაც სამყაროს ვეძახით. ის თავის თავსა და თავის აზრებს შეიგრძნობს დანარჩენი სამყაროსგან როგორც ცალკე აღებულ რასმე... ჩემი აზრით, ეს ოპტიკური ცდუნებაა. ეს ერთგვარი ილუზიაა, თვითონ ჩვენთვის საპყრობილედ ქცეული. ამიტომ თითოეული ჩვენგანის ამოცანაა, რომ თავი გავითავისუფლოთ ამ დილეგისგან, გავაფართოოთ პირადი მონაწილეობის სფერო ნებისმიერ ცოცხალ არსებამდე, ბოლოს და ბოლოს, მთელ სამყარომდე. ცხადია, ვერავინ შეძლებს ესოდენ ძნელი ამოცანის ბოლომდე შესრულებას, მაგრამ ცდა არ უნდა დავაკლოთ, რათა მივაღწიოთ ამ მიზანს, და ეს ცდა იქნება თითოეულის გათავისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი და შინაგანი რწმენის საფუძველი.

* * *

წარმატებული ადამიანი ის არის, ვინც თავისი წარმოსახვის საოცარი უნარის მქონე მხატვარია.

* * *

უკეთუ მიუკერძოებლად ვიფიქრებთ, ადამიანს თავისი მგზნებარე ძალისხმევით შეუძლია ჭეშმარიტების მხოლოდ უსასრულოდ მცირე რამ ნაწილის მოხელთება. მაგრამ იმის აღნიშვნაც ღირს, რომ ჩვენი ძალისხმევა თავისთავად გვათავისუფლებს შემბოჭავ ბორკილთაგან, რაც ადამიანს ყოველივე საუკეთესოს და დიადის თანამოღვაწედ ხდის.

* * *

ადამიანი მხოლოდ მაშინ იწყებს ცხოვრებას, როცა მოლოდინს აჭარბებს.

* * *

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის თავისუფლება იმ ადამიანის თავისუფლების მსგავსია, რომელიც კროსვორდს ხსნის. ერთი მხრივ, იმას ნებისმიერი სიტყვის ჩაწერა შეუძლია, ხოლო, მეორე მხრივ, იმან მხოლოდ ერთადერთი სიტყვა უნდა ჩაწეროს, რათა კროსვორდი ამოიხსნას.

ჩვენ ყველანი გენიოსები ვართ, მაგრამ თუ თევზს ხეზე ასვლის უნარის მიხედვით განვსჯით, ის მთელი ცხოვრება სულელად მიიჩნევს თავს.

* * *

ვისაც არცროდის შეცდომა არ მოსვლია, მაშასადამე, არცროდის ახალი რამ საქმე არ უცდია.

* * *

ბავშვები მოზრდილთაგან იმით განსხვავდებიან, რომ თავიანთი ასაკის გამო გაკვირვების უნარს ინარჩუნებენ. ისინი გარემომცველ უფერულ საგნებშიც ჭეშმარიტ სასწაულს ხედავენ და გულწრფელად არიან გაკვირვებული დანახულით.

* * *

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არცრა მოუტანს ისეთ სარგებლობას ადამიანის ჯანმრთელობას და არცრა გაზრდის ისე დედამიწის ზურგზე ადამიანების სიცოცხლის შენარჩუნების შესაძლებლობას, როგორც ვეგეტერიანელობის საყოველთაო გავრცელება.

* * *

ყოველი ადამიანი ცრუობს, მაგრამ ეს იმდენად საშიში არ არის, რამდენადაც ის ამბავი, რომ არავინ ერთმანეთს არ უსმენს.

* * *

ებრაელი ერის წარმომადგენელთა ტრაგედია ის არის, რომ ამ ხალხს მუდამ აკლდა საზოგადოების მხარდაჭერა, რისი შედეგიც საიმედო საფუძვლების უქონლობაა ინდივიდუმის პიროვნების ჩამოსაყალიბებლად. ყოველივე ამან კი ზნეობრივი ცვალებადობის უკიდურეს ფორმებამდე მიგვიყვანა.



ასე ამბობდა ალბერტ აინშტაინი

რუსული ტექსტი ქართულად გადმოაქენა გურამ გოგიაშვილმა

დიახაც, ამის გამო დავრწმუნდი, რომ ებრაელთა გადარჩენის ერთადერთი გზაა თითოეული ებრაელის კავშირი იმ სიცოცხლისუნარიან საზოგადოებასთან, რომელიც დამცირებისგან დაიცავს იუდეველს.

* * *

მხოლოდ როცა ვიბადებით და როცა ვკვდებით, მაშინ გვეძლევა იმის ნებართვა, რომ პატიოსნად მოვიქცეთ.

* * *

ერთადერთი რამ, რასაც შეუძლია ჩვენი წარმართვა კეთილშობილი აზრებისკენ და საქციელისკენ, დიდი და ზნეობრივად უზადო პიროვნებების მაგალითია.

* * *

ვინც ისეთი იდეის პოვნას ახერხებს, რომელი იდეაც ბუნების მარადიულ საიდუმლოებაში ღრმად შეჭრას შეაძლებინებს, მხოლოდ ის ხდება დიდი წყალობის ღირსი. ვინც ამასთანავე იმსახურებს აღიარებასა და სახელს თავისი დროის სახელოვან ადამიანთა შორის, ის ბევრად უფრო მეტ ბედნიერებას იღებს, ვიდრე ადამიანს შეუძლია ატანა.

* * *

ვისაც თავისი შრომის შედეგის ნახვა სურს, აუცილებლად მეჩექმეობას უნდა მიჰყოს ხელი.

* * *

უკეთუ გზად ჯოჯოხეთის გავლა მოგელით, გაიარეთ, არც დაფიქრდეთ.

* * *

ატომური ენერგიის გამოთავისუფლებამ ირგვლივ ყველაფერი შეცვალა, თვითონ ადამიანის აზროვნების გარდა... ამ პრობლემის გადაწყვეტა მთელი კაცობრიობის გულში ძევს. მე რომ შემძლებოდა ამის წინასწარ მიხვედრა, ალბათ, ნამდვილად მესაათე გავხდებოდი.

* * *

ადამიანებისათვის რისამე სწავლების ერთადერთი გონივრული ხერხი საკუთარი მაგალითის ჩვენებაა.

* * *

უკეთუ ადამიანი რელიგიასა და მეცნიერებას ჩასწვდა, კონფლიქტი იმათ შორის შეუძლებლად წარმოგვიდგება. თვითონ მეცნიერებისთვის ჭეშმარიტება ის არის, რაც არის და არა ჰიპოტეტური „რა იქნებოდა, თუკი...“.

ხოლო რელიგია, სხვა მხრიდან, სრულად და მთლიანად დაკავშირებულია ადამიანის ზრახვებისა და მოქმედებების შეფასებებთან და არ ძალუძს კანონიერად მსჯელობა ფაქტებზე და ამ ფაქტებს შორის ურთიერთმიმართებაზე.

* * *

შესაძლებლობა ძევს უცებ წამოჭრილი პრობლემის სადღაც შუაგულში.

* * *

სერიოზული პრობლემები, რომელთაც ცხოვრებაში ვაწყდებით, აზროვნების იმავე დონეზე ვერ გადაწყდება, რა დონეზეც ყველა ის პრობლემა წარმოიქმნა.

* * *

ჩემი თვალით მაქვს ნანახი, რა ულმობლად აკარიკატურებდნენ ებრაელთ გერმანიაში, და ეს სეირი გულს მითუთქავდა. ყოველივე ამას, იქნებ ნაციონალიზმი ვუწოდოთ და ამ ბრალდებაში ნამდვილად არის რაციონალური მარცვალი... ყოველ შემთხვევაში, ამ ნაციონალიზმის მიზანს ძალაუფლება კი არ წარმოადგენს, არამედ ადამიანური ღირსება და თვით ადამიანის პატივისცემა.

* * *

ალბერტ აინშტაინის სიმარტივის თეორია: „უკეთუ თავად ვერ აგიხსნიათ ეს გასაგებად, მაშასადამე, თქვენ თვითონ არ გესმით ეს სრულად ბოლომდე“.

* * *

ძველმა ადამიანებმა რაღაც ისეთი რამ იცოდნენ, რაც ჩვენ, ამჟამინდელმა თაობამ, როგორც ჩანს, ვიგულმავიწყეთ. ყოველი საშუალება მიზნის მისაღწევად არაფრის მაქნისია, უკეთუ თან ცოცხალი სული არ ახლავს. თუ ჩვენში იმის დიდი სურვილია, რომ მიზანს მივაღწიოთ, მაშინ უსაფუძვლოა ჩივილი, ამ მიზნის მისაღწევად და ცხოვრებაში განსახორციელებლად ძალა არა მაქვს შესაბამის საშუალებათა მოსაძიებლადო.

ჩვენი აზროვნება ისეთ პრობლემებს ქმნის, რომელთა გადაწყვეტა იმავე საზროვნო დონეზე შეუძლებელია.

* * *

როცა ჩემი თავისა და ჩემეული ფიქრის წესის გაგებას ვცდილობ, აუცილებლად იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ წარმოსახვისა და ფანტაზიის ნიჭი ჩემთვის ყოველთვის ბევრად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე განყენებული აზროვნების უნარი. ოცნება ყველაფერზე, რასაც კი შეიძლება, რომ ჩვენს ცხოვრებაში მივაღწიოთ, პოზიტიური ცხოვრების მთავარი ელემენტია. ჩვენს წარმოსახვას თავისუფლად ყიალისა და ისეთი მსოფლიოს აშენების ნება უნდა დავრთოთ, სადაც კომფორტულად ცხოვრებას შევძლებდით.

* * *

უკეთუ ადამიანებს სრულიად გულწრფელად და მგზნებარედ სურთ უსაფრთხოება, კეთილდღეობა და ადამიანების ნიჭის თავისუფლად განვითარება, მაშინ ამის ხორცშესასხმელად არცრა საშუალება არ უნდა მოისაკლისონ. თუკი კაცობრიობის თუნდაც სულ მცირე რამ ნაწილი ესწრაფვის ამ მიზანს, შედეგი დაადასტურებს ასეთ ადამიანთა უპირატესობას.

* * *

ადამიანის უტყუარი ფასეულობა იმით განისაზღვრება, რამდენად არის იგი თავისუფალი ეგოიზმისგან, აგრეთვე — რა საშუალებებით ცდილობდა ის ამის მიღწევას.

ნამდვილი გამოცანაა, თუ რა აიძულებს ადამიანს, რომ სრული სერიოზულობით მოეკიდოს თავის სამუშაოს? ვისთვის? უკეთუ თავისთვის, ჩვენ ხომ აგრერიგად ხანმოკლედ ვცოცხლობთ, ან იქნებ თანამედროვეთათვის ანდა შთამომავლობისთვის? როგორც ჩანს, ეს ისევ გამოცანად რჩება.

* * *

შენი, როგორც სხვებისგან განსხვავებულის განცდის ტრაგედია ღრმა ცდომილებაა, რაც ადამიანის საპყრობილე ხდება.

* * *

ყოველ ადამიანში არსებობს თავისივე საკუთარი კოსმოლოგია, და ვის შეუძლია იმის თქმა, მხოლოდ ჩემი თეორიაა ჭეშმარიტიო?

* * *

რაც განსაკუთრებით აუარესებს ამჟამინდელ მდგომარეობას, ის არის, რომ ებრაელი ხალხი და არაბები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ დგანან, თითქოს მტრები იყვნენ მანდატიანი სახელმწიფოს პირისპირ.

* * *

კაცობრიობის ნამდვილი პროგრესი დამოკიდებულია არა იმდენად გამჭრიახ გონებაზე, რამდენადაც შეგნებულობაზე.

* * *

უბრალო ადამიანური თვალსაზრისით, ზნეობრივი საქციელი სულაც არ ნიშნავს, რომ ულმობლად ითხოვდე ყოველდღიური ცხოვრების მრავალ სანუკვარ სიხარულს, უფრო მეტად ნიშნავს მთელი კაცობრიობის გაბედნიერების სურვილს.



რათა კედელი შუბლით გავანგრიოთ, საჭიროა ან დიდი მანძილიდან გამოქანება, ანდა შუბლების დიდი სიმრავლე.

* * *

წესრიგი აუცილებელია უგუნურთათვის, გენიოსები თავად მბრძანებლობენ ქაოსს.

* * *

ნაციონალიზმი საყმაწვილო სენია, თითქოს კაცობრობის წითელაა.

* * *

პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ არ ვამართლებ იმ მშობლებს, რომლებიც ზემოქმედებენ გადაწყვეტილებათა მიღებაზე, რასაც ბავშვების მომავალ ცხოვრებაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. თუკი ბავშვებს გადაწყვეტილების მიღება აქვთ განზრახული, რომელ გადაწყვეტილებათაც მშობლები არ ეთანხმებიან, მაშინ შენს თავს უნდა ჰკითხო: ვარ თუ არა საკმარისად დამოუკიდებელი და შინაგანად მედეგი, რათა სულიერი წონასწორობა არ დავკარგო იმის შემდეგ, საკუთარი მშობლების წინააღმდეგ რომ წავალ?

* * *

ადამიანს ცხოვრებაში აზრის პოვნა მხოლოდ მაშინ შეუძლია, უკეთუ თავს საზოგადოებას მიუძღვნის.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №14

◎ ისტორიის სვეტი

საღ, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1942 წლის 1 იანვარს ვაშინგტონში ხელი მოეწერა 26 სახელმწიფოს დეკლარაციას სამთა პაქტის (გერმანია-იტალია-იაპონია) ქვეყნების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ.

1943 წლის 12-27 იანვარს ლენინგრადის ფრონტის და ვოლხოვის ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს ლენინგრადის 900-დღიანი ბლოკადა, რომლის დროსაც 642 ათასამდე მოქალაქე შიმშილით დაიღუპა.

ძრისტეს ამაღლებიდან სამას ოცდათვრამეტსა წელსა, დღესა 14 იანვარს და ქართლად მოსვლისგან მისით მეთოთხმეტესა წელსა, შევედრა სული თვისი მეუფესა ცათასა ქართველთა გამანათლებელმა, მოციქულთა სწორმა, წმინდა ნინომ და ანდერძისამებრ დამარხეს ძლევით მოსილი გუამი მისი დაბასა ბოდისასა (ბოდბეს).

1946 წლის 18 იანვარს ლონდონში გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს)გენერალური ასამბლეის პირველი სესია.

1918 წლის 20 იანვარს რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა დეკრეტი, რომელმაც ეკლესია გამოჰყო სახელმწიფოსგან და სკოლა-ეკლესიისგან.

1924 წლის 21 იანვარს მოსკოვთან ახლოს, გორკაში ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რუსეთის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების ბელადი, სსრკ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი).

1896 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე). იმ წელს უჩვეულოდ დიდთოვლიანი ზამთარი ყოფილა ქუთაისში. მიცვალებულის გელათში წასვენება და დაკრძალვა ვერ მოხერხდა უამინდობის გამო. გადაწყვიტეს გაზაფხულამდე, გზების გახსნამდე დაეცადათ. მანამდე გაბრიელის ცხედარი ქუთაისის საკრებულო ტაძარში დაასვენეს. 46 დღე ეთხოვებოდა გაბრიელ ეპისკოპოსს სრულიად საქართველო და მთელი ამ დროის მანძილზე მეუფის უხრწნელი გვამი კეთილსურნელებას გამოსცემდა.

1924 წლის 26 იანვარს ქ. პეტროგრადს (ყოფილ სანკტ-პეტერბურგს) სახელი შეეცვალა და რამდენიმე დღის წინათ გარდაცვლილი ვ.ი. ლენინის უკვდავსაყოფად ეწოდა ლენინგრადი.

1918 წლის 27 იანვარს ფინეთში სამოქალაქო ომმა იფეთქა, რომელიც გამოწვეული იყო ადგილობრივი ბოლშევიკების ცდით, მოეწყოთ გადატრიალება და დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება ყოფილი რუსეთის არმიის ჯარისკაცთა ხიშტებზე დაყრდნობით.

თეთრი ხიდი – ქუთაისის სიმბოლო

ქუთაისის ხელისუფლება მიმდინარე წელს პრიორიტეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებად ასახელებს ქალაქის ცენტრალურ უბნებში ისტორიული და კულტურული ობიექტების რეკონსტრუქციას. როგორც მერიაში განმარტავენ, მიმდინარეობს თანხის მოძიება გაპონოვის – ყოფილი შაუმიანის – ქუჩაზე მდებარე კერძო საცხოვრებელი სახლების ფასადების რეკონსტრუქციისთვის. ქუჩაზე მდებარეობს ქუთაისში ერთ-ერთი ძველი და დიდი სინაგოგა, რომელსაც ხშირად სტუმრობენ ვიზიტორები ისრაელიდან.

სწორედ ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად გეგმავს თვითმმართველობა გაპონოვის ქუჩის აღდგენას. ქუჩაზე მრავლადაა ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში დაცული შენობები. კიდევ ერთი ობიექტი, რომელიც ქალაქის სტუმრებისა და ადგილობრივებისთვის სავიზიტო ადგილია, თეთრი ხიდია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეკეთდა ხიდის საფეხმავლო ნაწილი, იგი ამჟამად მნიშვნელოვნადაა დაზიანებული და ფეხით მოსიარულეები მის შეკეთებას ითხოვენ.



ქუთაისის მერიის ინფორმაციით, თეთრი ხიდის რეკონსტრუქცია მიმდინარე წელს პრიორიტეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს შორისაა. ქუთაისის მერის გიორგი ჭიღვარიას განცხადებით, რადგან ხიდი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით მზადდება პროექტი, რომლის მიხედვით განხორციელდება ხიდის რეკონსტრუქცია:

„არქიტექტურის სამსახური მუშაობს სააგენტოსთან ერთად. თეთრი ხიდი აშკარად საჭიროებს რეაბილიტაციას, ეს თითოეულმა ჩვენგანმა ვიცით. უბრალოდ, ჩვენ გვინდა, რომ ეს იყოს ძალიან საინტერესო როგორც ტურისტებისთვის, ისე ჩვენი თანაქალაქელებისთვის, რადგან თეთრი ხიდი არის ქუთაისის სიმბოლო და სირცხვილია ასეთ მდგომარეობაში იყოს“.

ქუთაისის მერი გიორგი ჭიღვარია თეთრი ხიდის რეკონსტრუქციისა და მისი საფეხმავლო ნაწილის ხის კონსტრუქციის შუშით შეცვლის ინიციატივით გამოვიდა თანამდებობაზე არჩევიდან მალევე, თუმცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ იდეა დაიწუნა, რადგან ნალექის დროს მასზე გადაადგილება შეუძლებელი იქნებოდა. ამჟამად განიხილება ხიდზე თეთრი ქვების შუშის იმიტირებული დეკორაციების დადგმა, რომლებიც ძელსკამების ფუნქციასაც შეითავსებენ. კიდევ ერთი პროექტი, რომლის განხორციელებასაც ადგილობრივი ხელისუფლება მიმდინარე წელს აპირებს, ქალაქის ერთ-ერთ ძველ უბანში – ბალახვანში – მდებარე ასსაფეხურიანი კიბის რეკონსტრუქციაა. როგორც მერიის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახურში განმარტავენ, პროექტის მიხედვით, იგეგმება კიბის საფეხურებისა და მოაჯირების რეკონსტრუქცია, მის მიმდებარედ კი ამფითეატრის, კოლონადისა და შადრევნის მოწყობა. სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ზაზა ჩხიკვაძის განმარტებით, კიბის საფეხურების რეკონსტრუირების შემდეგ ყვავილების ექსპოზიციისთვის შეიქმნება ტრანსფორმირებადი საგამოფენო სივრცე:

ასსაფეხურიან კიბეს რეკონსტრუქცია ბოლოს 2011 წელს ჩაუტარდა. რეკონსტრუქციის პროექტისთვის 157 ათასი ლარი, სამუშაოს შესრულებისთვის კი 81 ათასი ლარი დაიხარჯა...

„ასსაფეხურინი კიბე ქუთაისისთვის დამახასიათებელი ქვის არქიტექტურის ნიმუშია, რომელსაც, ავთენტურობიდან გამომდინარე, ნაკლებად შევეხებით, პირიქით – აღვადგენთ. ბოლო რეკონსტრუქციისას ის გადაღებეს დროის სიმცირის გამო და, პირველყოვლისა, საღებავი უნდა მოსცილდეს და დაუბრუნდეს ქვის პირვანდელი სახე. საპროექტო წინადადება მოიცავს ასევე ტერიტორიის კეთილმოწყობას, მიმდებარე სკვერის განახლებას, ასსაფეხურიანი კიბის მთლიან რეაბილიტაციას და კიბეზე ყვავილებისთვის საგამოფენო სივრცის შექმნას“.

თამთა კაჭკაჭიშვილი

ვის არ სურს რუსეთში „სტალინის სიკვდილის“ ჩვენება?

რუსეთის კულტურის სამინისტრომ გააუქმა ბრიტანულ კომედია „სტალინის სიკვდილის“ ჩვენებაზე გაცემული ლიცენზია. როგორც ოფიციალური საინფორმაციო სააგენტო „ტასი“ იუწყება, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 23 იანვარს, რუსეთის კინოებში დაგეგმილ პრემიერამდე ორი დღით ადრე. მანამდე კულტურის რამდენიმე გავლენიანმა მოღვაწემ, მათ შორის რეჟისორმა ნიკიტა მიხალკოვმა, მოითხოვა რუსეთში „სტალინის სიკვდილის“ ჩვენების აკრძალვა. ისმოდა ფილმის ჩვენების არა აკრძალვის, არამედ გადადების მოთხოვნაც.

ბრიტანული სატირული ფილმის მსოფლიო პრემიერა 2017 წლის სექტემბერში გაიმართა. სიუჟეტის მთავარი მოტივია კრემლში ძალაუფლებისათვის ბრძოლა 1953 წელს დიქტატორის გარდაცვალების შემდეგ. რუსეთის კულტურის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს შეფასებით, რეჟისორ არმანდო იანუჩის ნამუშევარს არ გააჩნია არც ისტორიული და არც მხატვრული ღირებულება და მასში შეურაცხყოფილია საბჭოთა სიმბოლიკა: ჰიმნი, ორდენები, მედლები. „მარშალი ჟუკოვი სულელად არის გამოყვანილი. ამას გარდა, ფილმი შეიცავს ზომაგადასული ძალადობის სცენებს“, უთხრა საზოგადოებრივი საბჭოს წევრმა პაველ პოჟიგაილომ მედიაჰოლდინგ ერბეკას (პბკ). საზოგადოებრივი საბჭო მოითხოვდა პრემიერის ზაფხულამდე გადადებას, რადგან მიუღებლად მიიჩნევდა „დიდი სამამულო ომის ვეტერანთათვის შეურაცხმყოფელი“ ფილმის გამოსვლის დამთხვევას სტალინგრადის ბრძოლის დასრულების 75 წლისთავთან. და კიდევ: პოჟიგაილოს აზრით, კინოეკრანებზე „სტალინის სიკვდილის“ გამოსვლა მიზანშეწონილი არ არის რუსეთში პრეზიდენტის არჩევნების მოახლოების გამო... რუსეთის კულტურის სამინისტრომ 17 იანვარს გასცა კინოში „სტალინის სიკვდილის“ ჩვენების ნებართვა. გეგმით, 25 იანვარს ფილმი მოსკოვის 30 კინოთეატრში უნდა გამოსულიყო.

„ტასს“ მოჰყავს რუსეთის კულტურის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარის იური პოლიაკოვის განცხადება, რომ ფილმის ჩვენება დაუშვებელია, რადგან შეიცავს რუსეთის წინააღმდეგ „იდეოლოგიური ბრძოლის“ ელემენტებს.

www.radiotavisupleba.ge

კავკასიაში იოლად არაფერი არ წყდება!?

დიპლომატიური ტრიუკი აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთზე გამავალი სავაჭრო დერეფნების თაობაზე

„საქართველოს და რუსეთს, შვეიცარიის დახმარებით, სეპარატისტული აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების გავლით, ახალი საკონტროლო-გამშვები პუნქტების გახსნა სურთ. ეს ერთგვარი დიპლომატიური ტრიუკია“, – ნათქვამია შვეიცარიის გერმანულენოვან გაზეთ „ნოიე ციურჰერ ცაიტუნგში“ გამოქვეყნებულ სტატიაში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან რეზიუმეს:

კავკასიის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ირგვლივ სიტუაცია თითქმის ათი წლის განმავლობაში არ იცვლება (...). თბილისსა და სოხუმ-ცხინვალს შორის შექმნილი ნაპრალი გადაულახავია. საქართველო უარს აცხადებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე (...). რუსეთი უარყოფს, რომ ის კონფლიქტის ერთ-ერთი მხარეა და მოქმედებს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის სასარგებლოდ, რომლებიც დიქტატორმა იოსებ სტალინმა საქართველოს მიაკუთვნა“, – წერს ჟურნალისტი.

2008 წლის აგვისტოს სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ კონფლიქტში ჩარევის შემდეგ, რუსეთმა ოფიციალურად აღიარა ორი „რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობა და **„იმ დროიდან მოყოლებული, ორივეს მფარველობს. ეს მძიმე დარტყმაა საქართველოსთვის, რომელმაც არჩევანი დასავლური ინტეგრაციის – ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების სასარგებლოდ გააკეთა, რუსეთთან ვასალური ურთიერთობის ნაცვლად“,** – აღნიშნავს ავტორი.

ასეთი ურთიერთდამოკიდებულების ფონზე თბილისიდან გავრცელებული ახალი ამბავი საკმაოდ გასაკვირია: საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დაადასტურა, რომ საქართველომ ხელი მოაწერა შეთანხმებას შვეიცარიულ კომპანია Societe Generale de Servueiiance – SGS-სთან იმ ტვირთების მონიტორინგის თაობაზე, რომლებიც საქართველო-რუსეთს შორის შექმნილ სამ საბაჟო პუნქტში გაივლის, – ნათქვამია სტატიაში.

ავტორის აზრით, შეთანხმების პირობების პრაქტიკული რეალიზება საკმაოდ უხერხული და დელიკატური საკითხია, რომელიც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ასე მაგალითად, 2011 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულებაში, რომელიც ორი ქვეყნის საზღვარზე ტვირთების მოძრაობას გააკონტროლებს საერთაშორისო დამკვირვებლების მონაწილეობით (სწორედ ამ ორმხრივი დოკუმენტის საფუძველზე გაფორმდა შეთანხმება შვეიცარიულ კომპანიასთან) და რომელიც დიდი ხნის განმავლობაში უმოქმედოდ იყო დარჩენილი, საკონტროლო პუნქტების დასახელების ნაცვლად მხოლოდ მათი გეოგრაფიული კოორდინატებია მითითებული.

„სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, ალბათ, თავს შეურაცხყოფილად იგრძნობენ, თავიანთ უფლებებს შელახულად ჩათვლიან, როცა მათ ტერიტორიაზე ტვირთების კონტროლს შვეიცარული კომპანია დაიწყებს“, – ვარაუდობს ავტორი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის თქმით, დამატებითი საბაჟო საკონტროლო-გამშვები პუნქტები მხოლოდ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში იმუშავებენ, ანუ როცა რუსეთთან საზღვარზე ამჟამად მოქმედი „ზემო ლარსის“ საბაჟო პუნქტი ამინდის გამო დაიხურება. სხვათა შორის, ეს გზა რუსეთთან სომხეთის დამაკავშირებელ ერთადერთ მაგისტრალს წარმოადგენს.

„ამასთან, საშინაო პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოს პრემიერ-მინისტრს სატრანზიტო დერეფნების საკითხი საკმაო უხერხულობას უქმნის. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ამგვარი ნაბიჯი საფრთხის შემცველია. ისინი მიიჩნევენ, რომ (საბაჟო პუნქტების დაარსება) სეპარატისტული რესპუბლიკების დე ფაქტო აღიარებად და რუსეთის კიდევ ერთ გამარჯვებად იქნება მიჩნეული“, – ხაზს უსვამს ავტორი.

გარდა ამისა, საქართველოს მეზობელი და სომხეთის დაუძინებელი მტერი აზერბაიჯანი ფიქრობს, რომ ახალი სატრანზიტო გზა ერევნისთვის სასარგებლო იქნება და ამიტომ საქართველოზე ზეწოლის განხორციელებას ცდილობს. კავკასიაში სწრაფად და იოლად არაფერი არ წყდება“, – ასკვნის ავტორი.

„Neue Zurcher Zeitung“ (შვეიცარია)

მარტინ ლუთერ კინგი: ოცნება ეკონომიკურ თანასწორობაზე

16 იანვარს ამერიკის შეერთებულ შტატებში და მთელ მსოფლიოში აღნიშნეს მარტინ ლუთერ კინგის დაბადებიდან 89-ე წლისთავი.

შეერთებულ შტატებში მხოლოდ ორი ადამიანის დაბადების დღე არის გამოცხადებული ფედერალურ დღესასწაულად – ეს ადამიანებია ჯორჯ ვაშინგტონი და მარტინ ლუთერ კინგი. ალბათ ამით უკვე თავისთავად ძალიან ბევრია ნათქვამი, თუმცა საინტერესოა, რა ვიცით და რა არ ვიცით საქართველოში პიროვნებაზე, რომელიც მეოცე საუკუნის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

ასე, მაგალითად, საქართველოში ვიცით, რომ მარტინ ლუთერ კინგი იყო სასულიერო პირი, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში სათავეში ჩაუდგა ბრძოლას აფროამერიკელების უფლებებისთვის. ვიცით ისიც, რომ კინგი ქადაგებდა ბრძოლის არაძალადობრივ გზას, რაც უკვე თავისთავად გამოარჩევდა მას აგრესიით გაჟღენთილ საზოგადოებაში, თუმცა ჩვენი ცოდნა, როგორც წესი, აქ მთავრდება და არ ვიცით, რომ მარტინ ლუთერ კინგი არ შემოიფარგლებოდა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლით და პროტესტის ჰუმანური ფორმაც არ ყოფილა მისი ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი.

სინამდვილეში მარტინ ლუთერ კინგის ფიგურის მნიშვნელობა არა პროტესტის ფორმაში არამედ პროტესტის მასშტაბშია. რეალურად, კინგი აკრიტიკებდა არა მხოლოდ რასობრივ დისკრიმინაციას, არამედ მისი თანამედროვე ამერიკის სოციალურ და ეკონომიკურ სისტემას მთლიანობაში, საიდანაც გამომდინარეობდა რასობრივი დისკრიმინაცია.

უთანასწორობისა და სიღარიბის პრობლემა, რასაც მუდმივად უსვამდა ხაზს მარტინ ლუთერ კინგი, დღემდე აქტუალურია. ამიტომ საქართველოში (ისევე, როგორც კინგის სამშობლოში) ბევრს არ უნდა შეამჩნიოს, რომ კინგის ოცნება არ ყოფილა მხოლოდ სამოქალაქო უფლებების გათანასწორება რეალური უთანასწორობის შენარჩუნების ფონზე. სინამდვილეში, მარტინ ლუთერ კინგის მიზანი ჯერაც მიუღწეველი და მიუწვდომელია ადამიანების დიდი უმრავლესობისთვის.

„თქვენ გასცდით სამოქალაქო უფლებებს და მიხვედით ადამიანის უფლებებთან. ახლა თქვენ იბრძვით ეკონომიკური თანასწორობისთვის ანუ ნამდვილი თანასწორობისთვის“, – მიმართავდა კინგი მემფისის გაფიცულ მუშებს 1968 წელს და იქვე განმარტავდა, თუ რას გულისხმობდა ნამდვილ თანასწორობაში: **„ჩვენ ვიცით, რომ კაფე-ბარების გაერთიანება საკმარისი არ არის. რა ხეირია კაფეში შესვლის უფლება, თუ ადამიანს ჰამბურგერის ფული არ აქვს? ან რა ხეირია თუნდაც ყველაზე მაღალი კლასის რესტორანში შესვლის უფლება, თუ კაცი ვერასდროს გამოიმუშავებს იმდენ ფულს, რომ იქ თავის ცოლთან ერთად ისადილოს?“**

ამერიკაში ასეთი განცხადების გაკეთება ცივი ომის დროს ძალიან საშიში იყო და მარტინ ლუთერ კინგიც არაერთხელ „დაუდანაშაულებიათ“ კომუნისტობაში „ამერიკული ღირებულებების მოდარაჯე ძაღლებს“, თუმცა კინგს ასეთი ბრალდებები ვერ აჩუმებდა, რადგან იგი არასდროს ერიდებოდა თავისი პოლიტიკური შეხედულებების გაცხადებას:

„თუ გნებავთ, უწოდეთ ამას დემოკრატია, ან თუ გნებავთ, უწოდეთ დემოკრატიული სოციალიზმი – მაგრამ ამ ქვეყანაში სიმდიდრე უფრო სამართლიანად უნდა იყოს განაწილებული ღვთის შვილთა შორის“, – ამბობდა კინგი ჯერ კიდევ 1961 წელს, ხოლო სამოციანი წლების მეორე ნახევარში იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც სოციალური პროტესტის ლიდერი: **„ამ ქვეყანაში მხოლოდ შავკანიანები არ არიან ღარიბები. ამ ქვეყანაში ორჯერ მეტი თეთრკანიანი ღარიბი ცხოვრობს. ამიტომ არასწორია სიღარიბის გაიგივება მხოლოდ კანის ფერთან ან რასობრივ დისკრიმინაციასთან. ეს არის ელემენტარული ეკონომიკური სამართლიანობის საკითხი“,** – ამბობს კინგი 1967 წელს და ამ სიტყვებში ძალიან კარგად ჩანს ფიგურა, რომელიც არ შემოიფარგლება რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლით და სათავეში უდგება საერთო პროტესტს სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ.

სწორედ ამ საერთო პროტესტის კულმინაცია იყო კინგის მიერ ორგანიზებული ღარიბი ხალხის კამპანია, რომელიც 1967-68 წლებში მიმდინარეობდა და სადაც ათობით ათასი ამერიკელი, კანის ფერის მიუხედავად, ითხოვდა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა აეღო დასაქმებაზე და უფრო სამართლიანად გადაენაწილებინა სიმდიდრე და ძალაუფლება მოქალაქეებს შორის...

ამ კამპანიის დროს – 1968 წლის 4 აპრილს მარტინ ლუთერ კინგი მოკლეს.

1983 წელს ამერიკამ ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადა კინგის დაბადების დღე, თუმცა ამერიკაში ადამიანებს დღემდე არ აქვთ გარანტირებული დასაქმება – რომ არაფერი ვთქვათ მსოფლიოს უდიდეს ნაწილზე, რომელსაც „განვითარებად სამყაროს“ ვუწოდებთ და რომელსაც საქართველოც მიეკუთვნება.

მივა თუ არა კაცობრიობა იქამდე, რომ სიმდიდრე უფრო სამართლიანად იყოს გადანაწილებული ღვთის შვილთა შორის, ამას მომავალი გვაჩვენებს. მანამდე კი, რამდენჯერაც არ უნდა აღვნიშნოთ მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღე, მთავარი, რაც უნდა გვახსოვდეს, ალბათ არის ის, რომ მისი მთავარი ოცნება კვლავ ოცნებად რჩება...

1 საზოგადოებრივი ტელევიზიის ინფორმაციული



რობოტი ფაბიო სამსახურიდან გაათავისუფლეს

ბოტლანდიური სუპერმარკეტების ქსელმა Margiotta Food&Wine-v Papper-ის რობოტის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ რობოტმა ფაბიომ მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება ვერ შეძლო. ფაბიოს მოვალეობას წარმოადგენდა კლიენტებს ამა თუ იმ ნივთისა თუ პროდუქტის მოძიებაში დახმარება. თუმცა რობოტმა კლიენტისთვის გარკვეული პროდუქტის მდებარეობის მითითება ვერ მოახერხა. მაგალითად, კლიენტი თუ იკითხავდა, სადაა რძე? რობოტი პასუხობდა, რომ მაცივარში, თუმცა არ განმარტავდა სად იდგა ეს მაცივარი. იყო შემთხვევა, როდესაც კლიენტმა საკუთარ კითხვაზე პასუხი საერთოდ ვერ მიიღო.

სუპერმარკეტების მფლობელმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც რობოტმა ხელმძღვანელის წინაშე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით უკბილო ხუმრობაც კი სცადა: „რას ნიშნავს, როდესაც ერთი ძროხა მერე ძროხას თვალს არ აშორებს“?. „თვალთვალს“ თავადვე გასცა კითხვას პასუხი ფაბიომ. კლიენტების ნაწილი ფაბიოს გაურბოდა და საბოლოოდ ხელმძღვანელობამ მისი სამსახურიდან განთავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. ფაბიომ მაღაზიაში სულ ერთი კვირა იმუშავა. როდესაც ფაბიოს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აცნობეს, ის აგრესიული გახდა. რობოტი სამეცნიერო ცენტრ Heriot-Watt-ში გადააგზავნეს, რომელმაც ფაბიო თავის დროზე დამხმარე რობოტად წარმოადგინა.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტი (AMMAR)

საქართველომ მიიღო დაფინანსება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის (AMMAR) განსახორციელებლად, რომლის ფარგლებში პროექტი იწვევს გამოცდილ **ადგილობრივ კომპანიებს** გამოხატონ ინტერესი შემდეგი დავალების შესასრულებლად:

გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში სალთვისის სარწყავი სისტემის გ-2 გამანაწილებელი არხის (ალტერნატიული არხის კვეთიდან) და მისი სხვა რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაციისთვის დეტალური პროექტის მომზადება (კონტრაქტის #AMMAR/CS/2018/146):

შერჩეულმა საკონსულტაციო კომპანიამ (მას შემდგომ ეწოდება „კონსულტანტი“) უნდა განახორციელოს შემდეგი:

1. დეტალური საინჟინრო პროექტი უნდა დამუშავდეს ერთ ეტაპად.

2. საპროექტო სამუშაოები უნდა ჩატარდეს არსებული და ახალი საძიებო-კვლევითი მასალების შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.

3. დეტალური საინჟინრო პროექტის დამუშავება უნდა ითვალისწინებდეს:

3.1 არსებული სიტუაციის აღწერას ფოტომასალების წარმოდგენით და ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაციას.

3.2 საველე-საძიებო ტოპო-გეოდეზიურ, საჭიროების შემთხვევაში გეოლოგიურ და სხვა სამუშაოებს

3.3 წყალსამეურნეო ბალანსის ანგარიშს და წყლის აღრიცხვიანობას

3.4 გარემოზე ზემოქმედების საკითხებს.

4. დეტალური პროექტი უნდა მომზადდეს საქართველოს მთავრობის 24.03.2009-ის N57 დადგენილების “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” გათვალისწინებით და შეესაბამებოდეს საერთაშორისო და შესაბამის ეროვნულ სტანდარტებს, საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და წესებს.

ვრცლად ტექნიკური დავალება იხილეთ ქვემოთ მითითებულ ბმულზე:

https://www.dropbox.com/s/m8llup2tk5tcpzk/ToR%20for%20Saltvisi_G-2_on-farm%20DD_GEO.rtf?dl=0

მომსახურების ხარნგრძლივობაა 6 თვე.

ფირმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. **ზოგადი გამოცდილება:** გამოცდილება დეტალური პროექტების მომზადებაში;

2. **სპეციფიური გამოცდილება:** სამელიორაციო სისტემების სულ მცირე 5 დეტალური პროექტის მომზადების გამოცდილება.

გუნდის შემადგენლობა

დეტალური პროექტის მოსამზადებლად საჭირო იქნება ექსპერტების გუნდის შემდეგი სავარაუდო შემადგენლობა:

— ირიგაციის სპეციალისტი - მთავარი ინჟინერი-გუნდის ხელმძღვანელი
— ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსთა ჯგუფი
— ინჟინერ/კონსტრუქტორი - 1 სპეციალისტი
— ინჟინერ-მექანიკოსი - 1 სპეციალისტი
— ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი - 1 სპეციალისტი
— გეოლოგი - 1 სპეციალისტი
— ტოპოგრაფი - 2 სპეციალისტი
— მშენებლობის ორგანიზაციის სპეციალისტი - 1 სპეციალისტი
— გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

კვალიფიკაციის მოთხოვნები

გუნდის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის უმაღლესი განათლება და 10 წლის მუშაობის გამოცდილება ჰიდროტექნიკური ნაგებობების, მათ შორის ირიგაციის სისტემების პროექტირებაში და სამუშაო გუნდის კოორდინაციაში.

სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მინიმუმ 5 წლის პროფესიული გამოცდილება ქვემოთ განსაზღვრულ ტექნიკურ სფეროებში.

სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი გამოცდილება:

<u>**ირიგაციის/მშენებლი ინჟინერი- გუნდის ხელმძღვანელი**</u>

• უმაღლესი განათლება ირიგაციის/მშენებლობის სფეროში მინიმუმ ათწლიანი სამუშაო გამოცდილებით მცირე საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის (მაგ. გზები, ხიდები, სარწყავი/წყალმომარაგების სისტემები და სხვა) პროექტირება-მშენებლობაში. სასურველია განვითარების პროექტებში/უწყებებში/ინსტიტუტებში მუშაობის გამოცდილება;

• წყლის მართვის და ირიგაციის პროექტებში მულტიდისციპლინარული გუნდის ხელმძღვანელობის გამოცდილება;

• ირიგაციის/მშენებლ ინჟინერს უნდა ჰქონდეს გამოცდილება საირიგაციო და ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში, საირიგაციო და სადრენაჟო პროექტების დაგეგმვის, პროექტირების და ხარჯთაღრიცხვების შედგენის ცოდნის ჩათვლით. აუცილებელია სხვადასხვა სს კულტურების და სს კულტურების წარმოების მოდელების რწყვის მოთხოვნილების ცოდნა;

• საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების საფუძვლიანი ცოდნა;

• მიმდინარე საბაზრო ფასების საფუძველზე საინჟინრო ხარჯთაღრიცხვების მომზადების გამოცდილება;

• ანალიტიკური და ადამიანებთან ურთიერთობის გამოკვეთილი უნარი, სტრატეგიული აზროვნების და მოქმედების, რამდენიმე ამოცანის ერთდროულად შესრულების და სამუშაოს სათანადო ვადებში შესრულების უნარები;

• კომპიუტერის და ანგარიშგების სრულყოფილი უნარები.

დამატებით საჭირო ექსპერტები: დამატებით ექსპერტებს, რომლებიც, კონსულტანტის აზრით, შეიძლება საჭირო გახდეს, უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება და მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება.

ტექნიკური დახმარების პერსონალი: ტექნიკური დახმარების პერსონალი, კვლევის ასისტენტები და სხვა ამგვარი თანამშრომლები კომპეტენტური უნდა იყვნენ თავის საქმეში, ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

კონსულტანტი შერჩეული იქნება კვალიფიკაციის მიხედვით.

კითხვებისთვის მოგვმართეთ წერილობით ქვემოთ მითითებულ ელ-ფოსტის მისამართებზე. ინტერესის გამოხატავად მოგვმართეთ წერილობით ქვემოთ მითითებულ მისამართებზე. ინტერესის გამოხატვის წერილს უნდა თან ერთოდეს შემდეგი ინფორმაცია:

(ა) მოკლე ინფორმაცია ფირმის შესახებ;

(ბ) ფირმის მიერ განხორციელებული პროექტების სია (პროექტის მოკლე აღწერილობის, განხორციელების ვადების, დამკვეთისა და ღირებულების მითითებით);

(გ) შემოთავაზებული პერსონალის სია და პერსონალის კვალიფიკაციის აღწერილობები (CV).

ინტერესის გამოხატვის წერილი ზემოაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთან უნდა წარმოადგინოთ **2018 წლის 8 თებერვლის 12 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზირი #6
0159 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995-32-237-80-38
ელ-ფორსტა: Levan.Tskhovrebashvili@moa.gov.ge
cc: nana.kupunia@moa.gov.ge

◎ ფეხბურთი

იქნებ, ახლა მაინც

გუშინ უეფას ერთა ლიგის პირველი ჩემპიონატის წილისყრა მოეწყო, სადაც საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაირკვა.

D დივიზიონის ჯგუფები შემდეგნაირად დაკომპლექტდა:
I ჯგუფი: ანდორა, ყაზახეთი, ლატვია, საქართველო.
II ჯგუფი: სან მარინო, მოლდოვა, ლუქსემბურგი, ბელარუსი
III ჯგუფი: კოსოვო, მალტა, ფარერები, აზერბაიჯანი.
IV ჯგუფი: გიბრალტარი, ლიხტენშტეინი, სომხეთი, მაკედონია.

2018 წელი. ჯგუფური ეტაპი.

I ტური: 6-8 სექტემბერი. **II ტური:** 9-11 სექტემბერი. **III ტური:** 11-13 ოქტომბერი.

IV ტური: 14-16 ოქტომბერი. **V ტური:** 15-17 ნოემბერი. **VI ტური:** 18-20 ნოემბერი.

უეფას ერთა ლიგის 2020 წლის ჩემპიონატის ერთადერთი საგზურის პლეი-ოფის წილისყრა. გაისად ნოემბერში გაიმართება, ხოლო პლეი-ოფები — 2020 წლის 26-31 მარტს.

გიორგი შოთაძე

◎ მუნდიალი „სისხლს“ მოითხოვს

მკვლელობა ფეხბურთის სახელით

ნახევარ წელიწადზე ნაკლები რჩება მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატამდე, რომელსაც წელს, 14 ივნისიდან 15 ივლისამდე, რუსეთი უმასპინძლებს. ქვეყანაში, ბუნებრივია, ემზადებიან პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი სპორტული ზეიმისათვის და მზადება ეხება არამარტო სპორტულ თუ ტურისტულ ინფრასტრუქტურას. რუსეთის 11-ვე ქალაქში, სადაც ჩემპიონატის მატჩები გაიმართება, უპატრონო ცხოველებს ხოცავენ. მსოფლიოში უკვე ბევრგან წერენ ამ პროცესზე, აკრიტიკებენ ცხოველების მიმართ სისასტიკეს. კრიტიკოსი ბევრია რუსეთშიც, მაგრამ მკვლელობები გრძელდება...

რადიო „თავისუფლების“ რუსულენოვანი სამსახურის ცნობით, მასობრივი მკვლელობები ხდება სქემით, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ 2014 წელს, ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის რუსეთის მზადებისას. როცა სოჭში სახელმწიფოს დავალებით ცხოველების განადგურებას შეუდგნენ, საერთაშორისო სკანდალი აგორდა. კომპანია „ბასიას“ თანამშრომლები პნევმატური იარაღით, „ადილინ-სუპერისა“ და „დიტილინის“ საწამლავებით ხოცავდნენ უპატრონო ძაღლებს. თითო გვამში ეს ხალხი 500 რუბლს (8,8 ამერიკულ დოლარს) იღებდა.

რეგიონებში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება და სადაც საწვრთნელი ბაზები მდებარეობს, 100 მილიონამდე რუბლს (1,8 მილიონამდე ამერიკულ დოლარს) გადაიხდიან უპატრონო ძაღლებისა და კატების განადგურებაში.

მას შემდეგ, როგორც ირკვევა, გაცილებით უფრო „მომგებიანი“ გახდა უპატრონო ძაღლებისა და კატების მოკვლა. **„ერთი ძაღლის მკვლელობისთვის 6-დან 9 ათასამდე რუბლს იღებენ. ამ ფულით თავისუფლად შეიძლება ცხოველების დაჭერა, ვაქცინაცია და სტერილიზაცია, თავშესაფარში მათი შენახვა“,** — აღნიშნავს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმირ ბურმატოვი, **რომელმაც 2018 წლის დასაწყისში მ იმართა სპორტის მინისტრს პაველ კოლობკოვს, თხოვნით, დაინდონ უპატრონო ცხოველები.** ბურმატოვი მინისტრს შეახსენებს, რომ საქმე ეხება ქვეყნის რეპუტაციას: ჩვენ ველურები არა ვართ, რომ მასობრივად ვხოცოთ ცხოველები ქუჩაში, მათი დასისხლიანებული გვამები მანქანებზე შევყაროთ და მთელ ქალაქში მოვატაროთო. სხვათა შორის, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატამდე უპატრონო ცხოველების განადგურების პროგრამა მომზადდა რუსეთის სპორტის ყოფილი მინისტრის, დოპინგის გარშემო სკანდალით ცნობილი ვიტალი მუტკოს მმართველობისას.

„2018 წელს რუსეთის 11 ქალაქში სისხლში ჩაახშობენ უპატრონო ცხოველებს. რატომ ანადგურებენ ყველას? იმიტომ, რომ ჩინოვნიკები და კომუნალური სამსახური დარწმუნებული არიან, რომ ცხოველები ხელს უშლიან სპორტსმენებსა და გულშემატკივრებს, რომ ცხოველები აფუჭებენ ე.წ. ტურისტულ მიმზიდველობას. ისინი ოცნებობენ პლასტმასის სამყაროზე“, — წერენ ინტერნეტში ჯგუფ BloodyFifa 2018-ის წევრები сообщества BloodyFifa 2018.

მათი კრიტიკა მიმართულია ფიფას წინააღმდეგაც. აქტივისტთა ვარაუდით, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია თვალს ხუჭავს უპატრონო ცხოველების მიმართ სისასტიკეზე, რადგან სურს გამორიცხოს, რომ რუსეთში ჩასულმა გულშემატკივრებმა — თუ ვინმეს ძაღლი უკბენს — სასამართლოში იჩივლონ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით...

და კიდევ: „საფრთხე“, რომელიც გულშემატკივრებს უპატრონო ძაღლებისაგან ემუქრება, საუცხოო საბაბია საბიუჯეტო სახსრების მოსაპოვებლად. ქალაქის ცხოველთა დაცვის ფონდის ხელმძღვანელმა ეკატერინა დმიტრიევამ შეისწავლა ოფიციალურ საიტზე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ რეგიონებში, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება და სადაც საწვრთნელი ბაზები მდებარეობს, 100 მილიონამდე რუბლს (1,8 მილიონამდე ამერიკულ დოლარს) გადაიხდიან უპატრონო ძაღლებისა და კატების განადგურებაში.

კობა კობახიძე

◎ ვლადიმერ ისელიძე — 70



გასული საუკუნის 60-70-იანი წლების საბჭოთა კავშირში ქუხდა თბილისის „დინამოს“ წყალბურთელ ვაჟთა გუნდის სახელი, რომლის ერთ-ერთი უდავო ლიდერი და სახე, 1971-1981 წლებში გუნდის კაპიტანი ვლადიმერ (ვოვა) ისელიძე იყო.

თვალი გადავავლოთ მის განვლილ წლებს წყალბურთში. თხრობა მინდა დავიწყოთ იმ ამბით, თუ რატომ ვერ გახდა იგი ოლიმპიური ჩემპიონი. 1980 წელს კარსმომდგარი მოსკოვის ოლიმპიური თამაშების წინ საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ოლიმპიური გუნდის უდავო კანდიდატი უცებ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ნაკრებში მის ნაცვლად მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის არაფრით გამორჩეული მოთამაშე რისმანი მიიწვიეს. ნაკრების მთავარი მწვრთნელი პოპოვი და წყალბურთის სახელმწიფო მწვრთნელი ზაიცევი წარსულში სწორედ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის მოთამაშეები იყვნენ და მათ ყველაფერი იღონეს რისმანის „გასაქაჩავად“. საბჭოთა კავშირის ნაკრები 1980 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ჩვენს ვოვას აი, ასე ამოაცალეს ჯიბიდან ოქროს მედალი (**ცნობისათვის**: მაშინ ოლიმპიური ჩემპიონობა რუსეთის დედაქალაქში მოთამაშე ქართველმა წყალბურთელმა გიორგი (კახა) მშვენიერაძემ მოიპოვა). სამწუხაროდ, ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა — 1975 წელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ბატონი ვოვა ნაკრებში არ გამოიძახეს, არადა, საბჭოთა გუნდმა იმ შეჯიბრებაში ოქროს მედალი დაიმსახურა.

საგულისხმოა, რომ მოსკოვის ოლიმპიადამდე ვ. ისელიძე 13 გატანილი ბურთით 1979 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (საქართველოს ნაკრებს ვერცხლის მედალი ერგო). მანამდეც მან ორჯერ მოიპოვა ეს მეტად საპატიო პრიზი — 1971 წელს ხალხთა V სპარტაკიადასა და 1973 წლის მსოფლიო უნივერსიადაზე. 1981 წელს ვოვას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა. საკავშირო სპორტკომიტეტმა თითქოს ამით „გამოისყიდა“ თავისი დანაშაული ამ დიდებული სპორტსმენის წინაშე.

1973 წელს მოსკოვში ჩატარებულ მსოფლიოს უნივერსიადაზე ქართველი წყალბურთელის თამაშით აღფრთოვანებული პეტრე მშვენიერაძე ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის პრიზით დაჯილდოებულ ვოვა ისელიძეს ეუბნება, რომ „უპატრონო ვარსკვლავია“. მისი სიტყვების მნიშვნელობა ვოვასათვის იმ მომენტში გაუგებარი იყო. მხოლოდ 1980 წლის წინაოლიმპიური ცნობილი ეპოპეის შემდეგ მიხვდა ყველაფერს. ჩვიდმეტწლიანი სპორტული კარიერის განმავლობაში, იმის მიუხედავად, რომ იგი ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპისა და სსრკ-ის ჩემპიონი არ გამხდარა, ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს. ის კი არა, თამაშისას ამოსუნთქვის საშუალებასაც არ აძლევდნენ, რადგან იგი მუდმივად საჭირო იყო გუნდისათვის ყველა პოზიციაზე, როგორც თავდასხმაში, ასევე, ნახევარდაცვასა და დაცვაში.

გავიხსენოთ მისი სპორტული მონაგარი: 1966 წელი — სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი; 1967 წ. — საბჭოთა კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ბრინჯაოს მედალოსანი; 1979 წლის სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი. საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად 1967 და 1968 წლების „ოლიმპიური იმედის“ თამაშების ჩემპიონი; 1970 და 1973 წლებში მსოფლიოს სტუდენტური უნივერსიადების გამარჯვებული; საბჭოთა ნაკრებთან ერთად 1974 წლის ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი; 1975 წლის „ახალზელანდიური თამაშების“ ჩემპიონი.

ვ. ისელიძის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში გაზეთებმა — „საქართველოს რესპუბლიკამ“ და „ლელომ“ ფართოდ გააშუქეს მისი არამარტო სპორტული ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები (იგი განათლებით ინჟინერ-ქიმიკოსი გახლავთ). შეგახსენებთ, რომ ვოვა პოლიციის პოლკოვნიკია და დამთავრებული აქვს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია. 1990-1994 წლებში იყო დამოუკიდებელი საქართველოს წყალბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი, მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

კაპიტანი რაინდული სულით

რა მოხდა ბოლო ათწლეულში?

2008 წელს ვ. ისელიძე დაინიშნა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად, სადაც 2013 წლამდე იმუშავა. შემდეგ ნაკრების თავკაცად მონტენეგროელი იოვან პოპოვიჩი მოიწვიეს და ვოვა მისი მარჯვენა ხელი გახდა. ჩვენმა გუნდმა 2-ჯერ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზა, რაც მხოლოდ ქართველმა კალათბურთელებმა მოახერხეს. ნაკრების მესვეურებს ამ წარმატებისთვის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება მიენიჭათ. 2008 წელს შეიქმნა კლუბი „ლიგამუსი“, რომლის მწვრთნელად ვ. ისელიძე დაინიშნა. სამწუხაროდ, დაუფინანსებლობის გამო 2013 წელს კლუბი დაიშალა და მის ბაზაზე „ლოკომოტივი“ ჩამოყალიბდა.

არც ისე დიდი ხნის წინათ ახალგაზრდა წყალბურთელების — ზურაბ რურუას, მიხეილ ბაღათურიას, გიორგი ხვედელიანის მეცადინეობითა და ყაზახეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის — დიმიტრი აბდუშელიშვილის ფინანსური მხარდაჭერით წყალბურთის კლუბი „დინამო“ აღორძინდა, რამაც ვოვა ისელიძეს დიდი სიხარული მოჰგვარა. იგი ოცნებობს, საქართველოს ჩემპიონატის ჩასატარებლად ექვსი გუნდი მაინც შეიკრიბოს და ის 9 ქართველი პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენი, რომლებიც უცხოეთში თამაშობენ (ხშირ შემთხვევაში, არც თუ მაღალი კლასის კლუბებში), ჩვენს პირველობაში ვიხილოთ. მისი თქმით, საქართველოში ბევრ მოზარდს სურს, წყალბურთს ეზიაროს, მაგრამ აუზების უქონლობა (თბილისში მხოლოდ „ოლიმპიკის“ აუზი აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, რეგიონებზე, საერთოდ, ლაპარაკიც ზედმეტია!) ხელს გვიშლის. ორ საცურაო ბილიკზე ახალგაზრდების სავარჯიშოდ გამოყოფილი 45 წუთი განა საკმარისია სპორტის ამ მართლაც წარმტაცი სახეობის ასაღორძინებლად?!



ვლადიმერ ისელიძე, გიორგი მშვენიერაძე

წლებს წლები ემატება, მაგრამ ქართული სპორტის ყველა დროის ერთ-ერთი გამორჩეული რაინდი უწინდებურად მხნე და შეუდრეკელია. მის სიცოცხლით სავსე ყოველდღიურობას მხნეობას და მრავალფეროვნებას, ეშხსა და სილამაზეს მატებენ უმშვენიერესი მეუღლე, ქალბატონი ელეონორა ანდღულაძე, შვილები, 7 შვილიშვილი და 8 წლის შვილთაშვილი დათუნა ნუცუბიძე. ისინი ამაყობენ, რომ ასეთი მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა ჰყავთ, ჩვენ კი — ვოვა ისელიძის ახლობლები, მეგობრები და მისი სპორტული ბატალიების მომსწრენი ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ გვერდითაა გულისხმიერი ადამიანი, სიკეთით სავსე პიროვნება, ღირსეული მამულიშვილი, რომელსაც 25 იანვარს სამოცდაათი წელი უსრულდება.

ბატონო ვოვა, იუბილეს გილოცავთ!

ზურაბ დვალი

ხსოვნა

ანზორ ბაბუხადია - შუბლნათელი კაცი!

სამწუხაროდ, გახსენებით გვიხდება საუბარი მეგობარზე, რომელმაც მოულოდნელად დაგვტოვა და სათქმელიც ბევრი დარჩა. დიახ, ვალმოხდილი წავიდა ანზორ ბაბუხადია ამქვეყნიდან და ღირსეული მამულიშვილის სახელი დატოვა.

ანზორი თაობის გამორჩეული წარმომადგენელი იყო. მან ცხოვრების დიდი გზა გაიარა და არსად შეფერხებულა — დროის გამოწვევებს მყისიერად უპასუხებდა. თავისი აქტიური მოღვაწეობით იგი საზოგადოებამ აღიარა, როგორც მაღალი რანგის პროფესიონალი. სახელმწიფო სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე წარმატებულად მუშაობისას პრინციპულობით, შრომისმოყვარეობით, სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის სულისკვეთებით, კოლეგიალობითა და გულისხმიერებით გამოირჩეოდა.

მისი მაღალი ნიჭიერება და ინტელექტი განსაკუთრებით დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობაში გამოვლინდა. როგორც პროფესიონალი და ახალი იდეების ავტორი, ბუნებით ლიდერი, აქტიურად მონაწილეობდა ეკონომიკის განვითარების პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში. თავისი თვისებებით — სამართლიანობით, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობით, სიახლეების დამკვიდრების სულისკვეთებით, ადამიანებთან ურთიერთობის უნარით საზოგადოების პატივისცემა და ნდობა მოიპოვა. არ დარჩენილა საზოგადოების ცხოვრების არცერთი მნიშვნელოვანი მხარე, რომელსაც იგი არ შეხებია. თემატიკის მრავალფეროვნება, მკვეთრად და მკაფიოდ გამოთქმული მოსაზრებები, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციები ამშვენებდა მის ხელწერას. თავის დროზე საზოგადოებამ მხარი დაუჭირა მის არგუმენტირებულ წინადადებებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სახელწოდების „საქართველოს“ უცხოურ ენაზე დამკვიდრებასთან, პოლიტიკური არჩევნების ჩატარებასთან, მიწის რესურსების, საერთოდ, ისტორიული ძეგლების დაცვასთან იყო დაკავშირებული.

განსაკუთრებით დიდია ბ-ნი ანზორის როლი ეროვნული, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების დაცვასა და გათანამედროვებაში. იგი კაცთმოყვარეობის, მიმტევებლობის, კეთილმოსურნეობის სანიმუშო მაგალითი იყო. როგორც რედაქტორ-გამომცემელი საზოგადოებრივ-საინფორმაციო გაზეთის „თანადგომის“ საშუალებით 16 წლის მანძილზე გვერდით ედგა ჭირისუფალს — საოცარი სითბოთი ახერხებდა ნუგეშის თქმას, ყოველთვის პოულობდა შესაბამის სიტყვას ჭირისუფლის გამხნევებისთვის. გაზეთი „თანადგომა“ — მოფერების, ადამიანის უკვდავყოფის, მწუხარების გაზიარებისა და გადანაწილების თვით ცხოვრებიდან შობილი ფენომენია. ამდენად, იგი საზოგადოებას მომავალშიც სჭირდება!

ბატონი ანზორის ცხოვრება კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მამულიშვილი, რომელიც სამივე დროს — წარსულს, აწმყოსა და მომავალს თანაბრად ეკუთვნის. ბუნებრივია, ეს გამორჩეულთა ხვედრია — გამორჩეულ მამულიშვილებს ქვეყანა არ ივიწყებს.

დაბოლოს: ანზორ ბაბუხადიაზე ბევრის თქმა შეიძლება. აქედან გამომდინარე, მისმა მეგობრებმა გადაწყვიტეს დაბადების 75 წელთან დაკავშირებით, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში გაიმართება, მოგონებების წიგნი მიუძღვნან მის ნათელ ხსოვნას.

ქვეყანას სჭირდება ანზორისნაირი პატრიოტები, მართალი ადამიანები, კეთილსინდისიერებით გამორჩეული, დროსთან ჭიდილში თავდაუხრელი კაცები!

მეგობრები

სანთელი

მადლობა, ძმაო გურამ!..



ამ დღეებში სიკვდილი კიდევ ერთხელ დაგვესხა თავს და კიდევ ერთი დიდად ღირსეული ქართველით გაგვაღარიბა... ჩვენი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები, უსაზღვროდ დაგვამწუხრა უსაყვარლესი მეგობრისა და კოლეგის, გამორჩეული ნიჭიერებისა და ვაჟკაცური პიროვნების

გურამ (კოია) გომართელის

გარდაცვალებამ. მან, როგორც ჩინებულმა პოეტმა და პროზაიკოსმა, თავისი მშობლიური თბილისის ჭეშმარიტად ნაღდმა მოქალაქემ, ჟურნალისტურად ფრიად ნაყოფიერი მრავალი წელიწადი გაატარა ჩვენ გვერდით, ჩვენს რედაქციაში. იგი თავისი დროის ნამდვილად კაცი-სამკაული იყო, რომელ დროსაც კიდევ უფრო ააზრიანებდა და აშინაარსიანებდა, თავისი წრისთვის, თავისი დიდი სამეგობროსთვის, იგი კაცი-იმედი იყო, რომელ წრესაც და სამეგობროსაც მუდამ კაცურ-კაცობისა და ადამიანობის სათვალმჩენო მაგალითად ეყოლება.

ყველა ჩვენგანის გულიდან საერთო ამოძახილი ისმის: მადლობა, ძმაო გურამ, შენი მადლიანი კაცობისთვის, შენი ქალაქური, გონიერ წიგნებად ქცეული ღონიერი ნააზრევისთვის, რაც შენ მაგივრად განაგრძობს სიცოცხლეს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ულამაზესი სული.

პანაშვიდები გაიმართება: 25, 26 I, 17 სთ;
მის: მცხეთის №29;
გამოსვენება: 27 I, ქაშუეთის ეკლესიიდან, 15 სთ.
დაკრძალვა: საბურთალოს სასაფლაოზე.

უახლოესი მეგობრები აჩიკო ბახტაძე, თორნიკე ლაღიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გურამ (კოია) გომართელის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზურაბ ლომიძე ოჯახით დიდი მწუხარებითა და გულისტკივილით თანაუგრძნობს თემურ თელიასა და მანანა გრძელიშვილს დედისა და დედამთილის, შესანიშნავი პიროვნების

ქეთევან თელიას

გარდაცვალების გამო.

„ბახალას“ პირადი ჩხრეკისას 45 აბი და 4 აბის ნატეხი „ბუპრენორფინის“ შემცველი ნივთიერება ამოიღეს

საქართველოს მთავარი პროკურატურა მსახიობ გიორგი გიორგანაშვილის საქმესთან დაკავშირებით, ოფიციალურ განცხადებას ავრცელებს. უწყების ცნობით, გიორგი გიორგანაშვილის პირადი ჩხრეკისას სამართალდამცავებმა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ფაქტზე ბრალდებული გ.გ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 24 იანვარს თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილის მე-17 კმ-ზე საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლების მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გაჩერებული იქნა „მერსედესის“ ფირმის რეანომობილი, რომლის მძღოლს ჯ.ხ.-ს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისგან ამოღებულ იქნა უკანონოდ შეძენილი, შენახული და საქართველოში უკანონოდ შემოტანილი განსაკუთებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 22 აბი, ხოლო მისი მართვის ქვეშ მყოფ რეანომობილში მოთავსებული სამედიცინო ინვენტარის ყუთიდან ამოღებული იქნა დამალული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 843 აბი და 2 ცალი აბის ნატეხი.

ბრალდებულის სახით დაკავებულმა ჯ.ხ.-მ ითანამშრომლა გამოძიებასთან და დაკითხვისას აჩვენა (შემდგომ სასამართლო პროცესზეც მოწმის სახით დაკითხვისას დაადასტურა), რომ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებები მას თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გ.გ.-მ გადასცა, საქართველოში კონკრეტული პირისთვის ტრანსპორტირების მიზნით. საქმეში მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება გ.გ-სა და ჯ.ხ.-ს ერთ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკაში ყოფნის ფაქტი.

აღნიშნული ინფორმაციის მიღებისთანავე, ოპერატიული ღონისძიებების გატარებით, სამართალდამცველების მიერ დადგენილი იქნა გ.გ.-ს ადგილსამყოფელი. 2017 წლის 25 იანვარს ბათუმიდან ტაქსით თბილისში მიმავალი გ.გ. გაჩერებულ იქნა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მე-14 კილომეტრზე. მისი პირადი ჩხრეკისას ქურთუკის ჯიბიდან ამოღებული იქნა პოლიეთილენის გამჭვირვალე პარკში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალების „ბუპრენორფინის“ შემცველი 45 აბი და 4 აბის ნატეხი.

ჯ.ხ. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ და 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ იგი წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ იქნა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ჯ.ხ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე, ამ უკანასკნელის შესაძლო თანამონაწილეების მიმართ საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ და 260-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით. აღნიშნულ საქმეზე გამოძიებას აწარმოებს შს სამინისტრო, ტარდება ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენის მიზნით“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ბექა წიქარიშვილს 2-კვირიანი პატიმრობა შეეფარდა

მოსამართლის გადაწყვეტილებით, მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ წევრი ბექა წიქარიშვილი საპატიმროში 14 დღეს გაატარებს. მას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.

შეგახსენებთ, რომ მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ წევრი ბექა წიქარიშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში გიორგი გიორგანაშვილის, იგივე „ბახალას“, განაჩენის გამოცხადების შემდეგ სასამართლოს ეზოში მომხდარი ინციდენტის დროს დააკავეს.



პანკისი იცლება, სახლები იკეტება!

ანალიტიკოს ნინო ბურჭულაძის ინფორმაციით, პანკისის ხეობა ახალგაზრდების გადინების ხარჯზე მოსახლეობისგან იცლება და ეს არანაკლებ პრობლემებს ქმნის, ვიდრე სადღეისოდ მიმდინარე პროცესები. ამის შესახებ ბურჭულაძემ „იბერიის“ ეთერში ისაუბრა:

„ხეობაში მძიმე პრობლემები წამოიჭრა. ის, რომ ხეობა იცლება, ადრეც ვთქვი და ჯეროვანი ყურადღება ამას არავინ მიაქცია. პროცესი ახლა არ დაწყებულა, რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს და შესაძლოა, გარკვეულწილად მოტივატორი ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიც იყოს. ბოლო დროს ხეობაში ცხოვრება ძალიან გაჭირდა. ვიღაცამ შეიძლება, თქვას, — „როგორ, ორ წელიწადში 8 მილიონი ლარის „ინვესტიცია“ ჩაიდო, პროექტები დაუფინანსდაო“. მართლაც, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ გაკეთდა ისე, როგორც უნდა გაკეთებულიყო. სოციალურად იმდენად რთული პირობები აქვს უმრავლესობას, ფიქრობენ, თავი დააღწიონ და სულ ერთია, სად წავლენ. სირიაშიც ახალგაზრდების უმრავლესობა იმიტომ მიდიოდა, რომ მათ ადგილზე საკუთარი თავის რეალიზების შესაძლებლობები ვერ იპოვეს. თითქმის ყველა ოჯახის რომელიმე წევრი გასულია საზღვარგარეთ, შრომობენ და ოჯახებს ინახავენ, რადგან თავად ოჯახებს საარსებო წყარო არა აქვთ. მინდა, გითხრათ, რომ ხეობაში არ ცხოვრობს ხალხი, რომლებიც ადვილად მიიღებენ სახლის დატოვების გადაწყვეტილებას. მათ ხეობა არ დაუტოვებიათ, როდესაც ძალიან უჭირდათ, ეს იყო 1990-იან წლებში, მაგრამ ფაქტია, რომ პროცესი დაიწყო და ახალგაზრდების გადინება ხდება. გუშინ მითხრეს, რომ დუმასტურში საბავშვო ბაღი იხურება, იგივე ხდება ხალაწანშიც, იკეტება სახლები და ხეობის დაცლა შეიძლება, არანაკლებ პრობლემად გვექცეს, ვიდრე ის პროცესები, რაც ახლა მიმდინარეობს“.

ეკონომიკის სამინისტრო ჭოველიძის ქუჩაზე მდებარე ნაქირავებ შენობას დატოვებს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო თბილისში, ჭოველიძის ქუჩაზე მდებარე ნაქირავებ შენობას დატოვებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პირველმა ვიცეპრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განუცხადა, შენობის დაცლა აპრილის დასაწყისში მოხდება.

მისივე თქმით, სამინისტროს მომავალ შენობასთან დაკავშირებით რამდენიმე ვარიანტი განიხილება.

დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, თუ უკვე არსებულ შენობებში ყველა თანაშრომლის განთავსება მოხდება, შესაძლოა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის ახალი შენობა არ აშენდეს, თუმცა, მისივე თქმით, რამდენიმე კვირაა საჭირო, რათა აღნიშნულთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღონ.

როგორც ქუმსიშვილმა აღნიშნა, პირადად ის ამჟამად მუშაობას იუსტიციის სახლში, ყოფილი ენერგეტიკის სამინისტროსთვის განკუთვნილ სართულზე აგრძელებს.

„იუსტიციის სახლში ჩვენი სამინისტროს აპარატი მთლიანად ვერ თავსდება, ამიტომ სხვადასხვა შესაძლებლობას და ვარიანტს განვიხილავთ, მათ შორის, იმას, რომ დროებით სამინისტრო და სააგენტოები სხვადასხვა შენობებში განვათავსოთ და შემდგომში უკვე ვნახოთ, შევძლებთ თუ არა ყველანი რაიმე ერთ შენობაში გადასვლას“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

რაც შეეხება გარემოს დაცვის ყოფილ შენობას, რომელიც ორთაჭალაში მდებარეობს, დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ეს შენობა სრულად დატვირთულია და ის დარჩა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

თბილისში, ჭანტურიას ქუჩაზე №12-ში მდებარე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენობის პრივატიზაცია 2015 წელს მოხდა და ის 9 450 000 დოლარად გაიყიდა. ამის შემდეგ სამინისტრო თბილისში, ჭოველიძის ქუჩის № 10-ში ნაქირავებ შენობაში გადავიდა.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ქართული კომპანიები სათამაშოების გამოფენაზე

"Spielwarenmesse 2018"
31 იანვარი»4 თებერვალი

31 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით, გერმანიაში, ქალაქ ნიურნბერგში სათამაშოების გამოფენაზე „Spielwarenmesse 2018“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზებით სამი ქართული კომპანია - შპს „კოდალა“, შპს „ჯეოთოიზ“ და შპს „თამაშობანა“ მიიღებს მონაწილეობას.

სათამაშოების წარმოების კუთხით ეს ღონისძიება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟულია, რომელშიც 60 ქვეყნიდან 2850-ზე მეტი სათამაშოების მწარმოებელი კომპანია მონაწილეობს. ვიზიტორების რაოდენობა კი ყოველწლიურად დაახლოებით 73 000-ს შეადგენს. სათამაშოების გამოფენაზე — „Spielwarenmesse 2018“ მონაწილეობის მიზანი ქართული კომპანიების ხელშეწყობა და უცხოელ პოტენციურ პარტნიორებთან და დამკვეთებთან ბიზნესკავშირების დამყარებაა. შეგახსენებთ, რომ „აწარმოე საქართველოში ? ექსპორტის“ მიმართულების მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ისტორიის გაკვეთილზე

— მითხარი, აბა, რა მოხდა 1410 წელს?

— 1410 წელს იყო ბრძოლა გრიუნვალდთან.

— კარგი, 1437 წელს?

მოწაფე ჩაფიქრდა და მკვირცხლად უპასუხა:

— 1437 წელს იყო ამ ბრძოლის ოცდამეშვიდე წლისთავი.

ოჯახური ჩხუბი

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი წაეჩხუბა ერთმანეთს. ბოლოს ცოლმა ვეღარ მოითმინა და აცრემლებულმა თქვა:

— მორჩა, ჩემი რაც არის, მიმაქვს და სამუდამოდ დედაჩემთან მივდივარ!

— კარგი, ძვირფასო, — უთხრა ქმარმა, — აჰა, გზის ფული.

ცოლმა ხელად გადათვალა ფული.

— აქეთ წამოსვლისას აღარ მაძლევ?

კარგი პაციენტი

ახალგაზრდა ექიმი კოლეგებს ეტრაბახება:

— ერთი ისეთი ახალი პაციენტი გამომიჩნდა, რომ მსგავსი არც ერთს არ გყოლიათ.

— რით არის დაავადებული?

— პიროვნების გაორებით.

— მერე, ეგ რა განსაკუთრებულია?

— ყოველ მოსვლაზე ორმაგ ჰონორარს მიხდის.

ფერს რა მნიშვნელობა აქვს

ცოლი სენტიმენტალურ გუნებაზე იყო და ქმარს ჰკითხა:

— მითხარი, არ დამიმალო, მაშინაც გეყვარები, როცა გავჭაღარავდები?

— რატომაც არა? — მიუგო ქმარმა გაზეთის თვალმოუშორებლად, — განა მაშინ არ მიყვარდი, როცა თმა ხან შავი გქონდა, ხან ქერა, ხან წითური და ხანაც იისფერი?!

გამოუსწორებელი მოწაფე

მასწავლებელს ერთმა უზრდელმა მოწაფემ თავი მოაბეზრა, ბოლო-ბოლო ვეღარ მოითმინა და გაბრაზებულმა უთხრა:

— ნეტავი ერთი სამი დღე დედაშენის ადგილას მქმნა, ხელად გამოგცვლიდი.

— კარგი, — უპასუხა მოწაფემ, — მამაჩემს მოველაპარაკები, მგონი, უარს არ იტყვის.

ქალი საჭესთან

საავტომობილო გაჩერებაზე ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს, ორივენი მცირელიტრაჟიანი „ზაპოროჟეცებით“ არიან.



პირველი კაპოტს ახდის თავის მანქანას და შეშინებული შეჰყვირებს:

— ნახე, მოტორი მოუპარავთ!

— ნუ ღელავ, — ეუბნება მეორე. — წელან ჩემი მანქანის საბარგულში ჩავიხედე და დავინახე ჩემს მზრუნველ ქმარს სათადარიგო მოტორი ჩაუდვია, სიამოვნებით გათხოვებ.

გამოიწერეთ ან ეოველდღე იეიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5117; ევრო - 3.0751;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5026;
100 რუბლი - 4.4451; თურქული ლირა - 0.6622;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4781;
1000 სომხური დრამი - 5.2224.

ამინდი 25 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+6
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+9
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+7
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+5

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge